F 171
1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კ რ ე ბ უ ლ ი

## 9

# С Б О Р Н И К

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სექტემბერი

Контрольный экземпляр

თბილისი 1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ოზოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე

ფასი 14 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X-73 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5.

შეკვ. № 798 უე—11893 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 6 ივლისის ბრძანება № 480

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შუქზე მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაძლიერების საქმეში რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების ამოცანების შესახებ

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელმაც განიხილა საკითხი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შუქზე მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაძლიერების საქმეში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ, აღნიშნა მთელი საბჭოთა ხალხების ერთსულოვნება სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების შესასრულებლად.

სკკპ მიერ მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის დარგში დასახული ამოცანების განხორციელება განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების ორგანოებისაგან. ამ მიზნით, რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები და სკოლების პედაგოგიური კოლექტივები პირველ რიგში გულმოდგინედ ეცნობიან სსრ კავშირის 50 წლისთავისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საიუბილეო სხდომის მასალებსა და ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიუხედავად დღემდე გაწეული დიდი მუშაობისა, რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების ერთ ნაწილში აშკარად შეინიშნება ნაკლოვანებანი პედაგოგიური კოლექტივებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის დარგში. ეს გარემოება უარყოფით დაღს ასვამს სკოლის მუშაობის წარმატებას, თავი იჩინა კერძომესაკუთრულმა ტენდენციებმა, უკანასკნელ ხანებში ფეხვი მოიკიდა რეპეტიტორობამ, გავრცელდა სხვადასხვა ღონისძიების საბაბით მოსწავლეთა მშობლებში ფულის შეგროვების შემთხვევები და სხვ.

ყოველივე აღნიშნულისა და მთელი რიგი სხვა მსგავსი მიზეზების გამო, უკანასკნელ წლებში, დაბალია რესპუბლიკის სკოლების აკადემიური წარმატება, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს, არ მუშაობს მოსწავლეთა კოლექტივებთან და განსაკუთრებით აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან.

ყველა სკოლაში არ არის დაცული ობიექტურობა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება.-შეფასებაში, მასწავლებელთა ნაწილი არ გრძნობს პასუხისმგებლობას შეფასების სიზუსტისათვის, ადგილი აქვს წარმატების ნიშნების ხელოვნურად დაკლების ან გადიდების შემთხვევებს, რის გამო სწავლა ხდება არასაინტერესო, მასწავლებელი კი მოსწავლის თვალში კარგავს ყოველგვარ პატივისცემასა და ავტორიტეტს.

ბევრ სკოლაში მოსწავლეთა წარმატების შემოწმება და შეფასება მიზანს ვერ აღწევს იმიტომაც, რომ მას არა აქვს სისტემატური ხასიათი, მისი ეპიზოდურობა და კამპანიურობა კი უაღრესად მავნე გავლენას ახდენს არა მარტო სწავლების მიმდინარეობაზე, არამედ სკოლის ცხოვრებისა და მუშაობის ყველა დარგზე. ამგვარი შემოწმება მოსწავლეებს აჩვევს თვითდამშვიდებას, უსაქმობას, სიზარმაცეს, დაუდევრობას. ამის შედეგად ქვეითდება მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე. შემოწმების ეპიზოდურობა შეუძლებელს ხდის მოსწავლეთა შესწავლას და მათდამი ინდივიდუალური მიდგომის ღონისძიებათა გატარებას, სწორედ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება—შეფასების ამგვარი მდგომარეობით უნდა აიხსნას ის ფაქტები, როდესაც ისინი სასწავლო დროის გარკვეულ პერიოდში არაფერს აკეთებენ, ხოლო სასწავლო მეოთხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ან სასწავლო წლის მიწურულს, ამუშავდებიან და ცდილობენ მოკლე დროში დანაკლისის შევსებას. ცხადია, რომ ამ მოსწავლეთა უმრავლესობა თავისი ხარვეზების შევსებას ვერ ახერხებს. ხოლო ისინი, რომლებიც სახელდახელოდ ავსებენ ცოდნის ხარვეზებს, ნაჩქარევად დასწავლილ მასალას მალევე ივიწყებენ.

ყველგან არ ტარდება საჭირო ღონისძიებანი, რომ ყველა მასწავლებელი გულმოდგინედ მუშაობდეს თავის თავზე, საფუძვლიანად იცნობდეს ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, ეცნობოდეს ყოველ მნიშვნელოვან სიახლეს თავის სპეციალობაში, კარგად იყოს გარკვეული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ ცხოვრებასა და საერთაშორისო მოვლენებში.

ადგილებზე საჭირო ზომებს არ იღებენ, რათა სკოლის პედაგოგს განუმტკიცდეს იმის შეგნება, რომ პროგრამის სრული, მაღალხარისხოვნად ათვისება მთლიანად დამოკიდებულია გაკვეთილის იდეურ-პოლიტიკურ და პედაგოგიურ—მეცნიერულ დონეზე და აღკვეთონ რეპეტიტორობა, როგორც სკოლის სახელის გამტეხი მავნე მოვლენა. საჭიროების შემთხვევაში არ აღადგენენ თავის უფლებებში მოსწავლეებთან მასწავლებლის დამატებითი მუშაობის პრაქტიკას, მოსწავლეებს არ ეძლევათ ინდივიდუალური დავალებები, რომლებიც საჭიროა ამა თუ იმ მოსწავლის ცოდნაში არსებული ხარვეზების, ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად ან მისი რომელიმე სუსტად ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევის განსამტკიცებლად. სპეციალური ინდივიდუალური დავალებანი არ ეძლევათ ისეთ მოსწავლეებსაც, რომლებიც ასეთი სახის საშინაო დავალებების შესრულებისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას, ნიჭსა და უნარს იჩენენ.

ყველა სკოლა არ იყენებს სწავლების პროცესში თვალსაჩინო მასალებსა და ტექნიკურ საშუალებებს, როგორიცაა კინო, ტელეხედვა, სხვადასხვა სასწავლო მანქანა, რომლებიც მასწავლებლის ცოცხალ სიტყვასთან ერთად სწავლების პროცესის აქტივიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მოსწავლეთა ნაწილს ჯერ კიდევ სუსტად უნერგავენ ინტერესს შრომისადმი, საზოგადოებრივი საქმიანობისადმი, რის გამოც არაიშვიათად ვხვდებით სხვის ხარჯზე, „იოლი ცხოვრებით“ გატაცებულ ახალგაზრდებს. მოსწავლეთა შორის ჯერ კიდევ გვხვდებიან ახალგაზრდები, რომელთა ქცევა შეუთავსებელია კომუნისტურ მორალთან და მსოფლმხედველობასთან, მიუხედავად ამისა, ჯერ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ არ წარმოებს ქმედითი აღმზრდელობითი მუშაობა ამ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მუშაკთა შორის ბევრია ნამდვილი, თავისი საქმის ენთუზიასტი მასწავლებელი, რომელიც საფუძვლიანად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, მოსწავლეებს აძლევს მეცნიერებათა საფუძვლების მკვიდრსა და მტკიცე ცოდნას, არის თავისი საქმის პატრიოტი, სოციალისტური საზოგადოების ჭეშმარიტი მოქალაქე; ისინი ღირსეულად სარგებლობენ საზოგადოების გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით.

მაგრამ, სამწუხაროდ, იმათ შორის, ვინც ახალგაზრდობის მასწავლებლისა და აღმზრდელის მაღალ წოდებას ატარებს, ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც არ მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ვერ დაუძლევიათ თავიანთ ცხოვრებაში წარსულის გადმონაშთები და გატაცებულნი არიან კერძომესაკუთრული მისწრაფებებით,

რესპუბლიკის ბევრ სკოლას ჰყავს უნარიანი ხელმძღვანელები, რომლებიც საქმის ცოდნით სრულყოფენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, ქმედით დახმარებას უწევენ მასწავლებლებს მუშაობაში, უზრუნველყოფენ სასწავლო დღის, კვირისა და წლის რეჟიმს, პედაგოგიური კადრების შერჩევას, შრომის ორგანიზაციას, სასწავლო—აღმზრდელობითი მუშაობის კომუნისტური ფორმების დანერგვას.

მაგრამ, ამასთან ერთად, რესპუბლიკის მთელი რიგი სკოლების დირექტორები და სასწავლო—აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათი მოადგილეები არასწორად არიან შერჩეულნი, მათ არა აქვთ სათანადო ცოდნა და გამოცდილება, უმრავლეს შემთხვევაში ვხვდებით მათ შორის ჰუმანიტარული ციკლის საგნების სპეციალისტებს, რომლებიც, ამის გამო, ზერელედ, საქმის უცოდნელად ხელმძღვანელობენ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებას.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის საქმეში რესპუბლიკის სკოლებს მდიდარი და საინტერესო გამოცდილება აქვთ დაგროვილი, ნაკლოვანებანი და ხარვეზები ამ მუშაობაში მაინც შეინიშნება: ჯერ კიდევ არ ხორციელდება საკმაო ღონისძიებანი ნაციონალური ცრურწმენის წინააღმდეგ, მასწავლებელთა ერთ ნაწილს, განათლების გარკვეული შეზღუდულობის გამო, არა აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასობრივი მიდგომა ცალკეული ისტორიული პიროვნებისა და საერთოდ ზოგადოებრივ—პოლიტიკური მოვლენებისადმი. აქა-იქ ნაციონალური სიამაყის გრძნობას ცვლის ეროვნულ-კუთხური ამპარტავნობა და საკუთარ ეროვნულ მეში ჩაკეტვის არასწორი ტენდენცია.

რესპუბლიკის სკოლებში, განსაკუთრებით სოფლად, დაბალ დონეზეა დაყენებული ოქტომბრის რევოლუციის ენის, ვ. ი. ლენინის ენის, საბჭოთა ხალხების მეგობრობის ენის შესწავლა, ეს მდგომარეობა მეტად სერიოზულ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობას შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების, ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრების 1973 წლის 23 აპრილის რეზოლუციის განხორციელების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

ა) ეს ბრძანება სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილონ ასსრ განათლების სამინისტროების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე. დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი სკოლებში მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების დონის შემდგომი ამაღლებისათვის;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ ყოველი მასწავლებელი გულმოდგინედ მუშაობდეს თავის თავზე, საფუძვლიანად იცნობდეს ახალ სასწავლო გეგმებსა პროგრამებს, ეცნობოდეს ყოველ მნიშვნელოვან სიახლეს საკუთარ სპეციალობაში, კარგად იყოს გარკვეული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ, კულტურულ ვითარებასა და საერთაშორისო მდგომარეობაში; აიარაღებდეს მოსწავლეებს საფუძვლიანი და მკვიდრი ცოდნით;

გ) თანმიმდევრული და მკაცრი ბრძოლა გამოუცხადონ ლიბერალიზმს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში, მიაღწიონ იმას, რომ მასწავლებელი, უპირველეს ყოვლისა, ცოდნის შემოწმების საქმეში ახორციელებდეს მკაცრი, მაგრამ ბოლომდე სამართლიანი პედაგოგის თვისებებს, რომ სუბიექტურობა მოსწავლეთა ცოდნის შეფასე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში—წარმატების ნიშნების ხელოვნურად დაკლება ან გადიდება შეუთავსებელია საბჭოთა მასწავლებლის მაღალ სახელთან;

დ) უზრუნველყონ, რომ ყველა მასწავლებელი გაკვეთილს ატარებდეს მაღალპოლიტიკურ, მეცნიერულ-პედაგოგიურ დონეზე და ამ საფუძველზე უზრუნველყოფდეს ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის მაღალხარისხოვნად ათვისებას; თავის უფლებებში აღადგინონ მოსწავლეებთან მასწავლებლების დამატებითი მუშაობის პრაქტიკა; საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლებმა მოსწავლეებს მისცენ არა მარტო საერთო საკლასო ანუ ფრონტალური, არამედ პერიოდულად სპეციალური, ინდივიდუალური დავალებანიც, რომელთა მიზანია, ერთ მხრივ, ამა თუ იმ მოსწავლის ცოდნაში არსებული ხარვეზის აღმოფხვრა და მეორე მხრივ, განსაკუთრებული მიდრეკილების მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილება. ამ გზით მიაღწიონ რეპეტიტორობის, სკოლის ამ სახელგამტეხი მოვლენის აღკვეთას;

ვ) ყველა ზომა მიიღონ მეორეწლიანობის სალიკვიდაციოდ, რისთვისაც ფართოდ განაზოგადონ და ყველა სკოლის კუთვნილებად გახადონ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილება;

ზ) ცალკეული საგნების, განსაკუთრებით კი მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობისა და გეოგრაფიის სწავლებისას დიდი ყურადღება დაუთმონ მოსწავლე ახალგაზრდობაში სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძნობის აღზრდას. ამ მიზნით სკოლებში შექმნან სსრ კავშირის, მოძმე სოციალისტურ ქვეყნების ხალხთა შორის მეგობრობის ამსახველი სასკოლო მუზეუმები, გამოფენები, სტენდები; მოაწყონ სხვადასხვა ენაზე მომუშავე სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეების საქმიანი შეხვედრები, კოლექტიური სვლები კინო-თეატრებში და ა. შ.;

თ) გადაჭრით გააუმჯობესონ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა მოსწავლეთა შორის, რათა მათ ჩაუნერგონ სოციალისტური თანაცხოვრებისადმი, შრომისადმი, საზოგადოებრივი საქმიანობისადმი პატივისცემა. გადაჭრით აამაღლონ აღმზრდელობითი მუშაობის დონე და უზრუნველყონ მოსწავლე ახალგაზრდობაში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება;

ი) არსებითად გარდაქმნან მუშაობა მშობელთა შორის, პედაგოგიური პროპაგანდის გაძლიერების გზით. მიაღწიონ იმას, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა დედებმა და მამებმა განუხრელად დაიცვან მშობელთა ქცევისა და მოქმედების ნორმები, იყონ მომთხოვნი თავიანთი შვილებისადმი, ნებაზე არ მიუშვან ისინი, ჩაუნერგონ მათ მოვალეობისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის გრძნობა;

ქ) გააუმჯობესონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მასწავლებელთა შორის, მიაღწიონ იმას, რომ ყველა მასწავლებელი იდგეს მოწოდების სიმაღლეზე, იყოს თავისი საქმის პატრიოტი, სოციალისტური საზოგადოების ჭეშმარიტი მოქალაქე, რომელიც პირად მაგალითს უჩვენებს მოსწავლე ახალგაზრდობას;

ღ) დაუყოვნებლივ გადასინჯონ სკოლების ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა და, საჭიროების შემთხვევაში, გაატარონ სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებანი 1973—1974 სასწავლო წლისათვის მის მკვეთრად გასაუმჯობესებლად.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა (ამხ. ამხ. გ. საყვარელიძემ და თ. ზახაშვილმა) შეისწავლონ რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის მოწინავე გამოცდილება და მიიღონ ზომები მისი განზოგადებისათვის.

3. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძემ) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. გ. საჯაიამ) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ და ინტერნაციონალურ აღზრდაში დაგროვილი მოწინავე გამოცდილების შესახებ.

4. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 14 ივნისის ბრძანება № 419

### სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბრიგადის მიერ საქართველოს სსრ სკოლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, **რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილების „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ“** შესასრულებლად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით, ატარებს მნიშვნელოვან მუშაობას.

საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად განათლების სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა შეიმუშავეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ სკოლების ქსელის სრულყოფას, საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების შესასრულებლად მუშაობის გაძლიერებას, სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხის ამაღლებას. ამ მიზნით, საკითხები სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ სისტემატურად იხილება ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, განათლების სამინისტროების კოლეგიების, განა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლების განყოფილებათა სახალხო განათლების საბჭოებისა და სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად, გარკვეულად გაუმჯობესდა სკოლების მუშაობა:

ამჟამად უფრო რაციონალურად არის განლაგებული სკოლების ქსელი. გასულ სასწავლო წელს გაუქმდა 58 მცირეკომპლექტიანი დაწყებითი სკოლა, 11 გადაკეთდა რვაწლიანად, 28 რვაწლიანი კი — საშუალო სკოლად. გაიხსნა 8 საშუალო და 2 დაწყებითი სკოლა.

ამჟამად, რესპუბლიკის 4116 ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლაში სწავლობს 1978213 მოსწავლე. 1971/1972 სასწავლო წლის კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შესრულდა 99,8%-ით, საღამოს(ცვლის) სკოლებში კი 101, 5%-ით.

1964—1965 სასწავლო წელს 1-ლ კლასებში ჩარიცხული კონტინგენტიდან 1972 წელს დღისა და საღამოს სკოლა დაამთავრა 84815-მა მოსწავლემ, ე. ი. 86,8%-მა.

1972—1973 სასწავლო წელს საშუალო სკოლების მეცხრე კლასებში, ტექნიკუმებში, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებში აგრძელებს სწავლას რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის 95,4%. 1962—1963 სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლების 1-ელ კლასებში მიღებული კონტინგენტის (74143) 78%-მა დაამთავრა საშუალო სკოლა.

გარკვეული მუშაობა ტარდება სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. 1971 წელს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა სახსრებით აშენდა 59 ახალი სასკოლო შენობა 27108 მოსწავლის ადგილით, 1972 წელს კი — 62 შენობა 27998 მოსწავლისათვის. ფართოდ გაიშალა სასკოლო მშენებლობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საშეფო ორგანიზაციების სახსრებით. აჭარის ასსრ-ში მარტო 1972 წელს აშენდა 6 სასკოლო შენობა და არსებულ შენობებს მიუშენდა 23 საკლასო ოთახი. გეგეჭკორის რაიონში იმავე წელს აშენდა ერთი საშუალო და ორი რვაწლიანი სკოლის შენობა, მიშენდა საკლასო ოთახები და სპორტდარბაზი.

გარკვეული ზომებია მიღებული მთიან რაიონებში სასკოლო ინტერნატების ქსელის გასაფართოებლად. ამჟამად რესპუბლიკაში 209 სასკოლო ინტერნატია, რომლებშიც 6077 მოსწავლე ცხოვრობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმდინარე ხუთწლედში დასახულია აშენდეს სასკოლო ინტერნატები 54 ათასი მოსწავლისათვის.

რესპუბლიკაში გარკვეული ღონისძიებებია გატარებული სასწავლო თვალსაჩინო მასალებითა და მოწყობილობით სკოლების უზრუნველსაყოფად, მათი აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენებაში წესრიგის დასამყარებლად. სასწავლო კაბინეტები სანიმუშოდ აქვთ მოწყობილი ქ. თბილისის 77-ე, სოხუმის მე-2 და მე-19, ფოთის 1-ლ, ქობულეთის 1-ლ, გეგეჭკორის რაიონის სოფ. სალხინოს და სხვ. სკოლებს.

სათანადო ყურადღება ექცევა სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა დანერგვას. სკოლებს დაეგზავნათ ტელეგადაცემათა ანოტირებული პროგრამა. სასწავლო ტელეგადაცემათა გამოყენების გამოცდილება შესწავლილია ქ. გორისა და გორის, სამტრედიის, გეგეჭკორის, თელავის, წულუკიძის, მახარაძისა და სხვ. რაიონებში.

რესპუბლიკის სკოლები ძირითადად შესაფერისი პედაგოგიური კადრებითაა დაკომპლექტებული: მასწავლებელთა საერთო რაოდენობის (74826) 69,5%-ს (51998 კაცს) აქვს უმაღლესი განათლება, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებითაა 12,2%, (9171), საშუალო სპეციალური განათლებით—16.0% (11965) და საშუალო ზოგადი განათლებით—2,3% (1692 კაცი). რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების პედაგოგიკისა და დაწყებითი განათლების მეთოდიკის ფაკულტეტები ამზადებენ კადრებს დაწყებითი კლასებისათვის. რესპუბლიკის სკოლები ყოველწლიურად იღებენ 1,5 ათას ახალგაზრდა სპეციალისტს.

ჯეროვანი ყურადღება ექცევა მასწავლებელთა, სკოლების ხელმძღვანელთა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას: 1972 წელს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებში გადამზადდა 14730 კაცი. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად 1969 წლიდან პედაგოგიურ ინსტიტუტებთან გახსნილია კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტები და განყოფილებები. 1971 წლის ოქტომბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვალიფიკაციას იმაღლებენ უფროსი კლასების მასწავლებლები.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის მეცნიერი თანამშრომლები სისტემატურად ატარებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამსვლელ სამეცნიერო სესიებს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

სკოლებში მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი მოსწავლეებში კომუნისტური მსოფლმხედველობის, ინტერნაციონალური, სამხედრო-პატრიოტული და ესთეტიკური აღზრდის საქმეში. თითქმის ყველა სკოლაშია მოწყობილი ვ. ი. ლენინის მუზეუმი, ლენინის კუთხეები, რომლებიც გამოიყენება გაკვეთილზე და კლასგარეშე მუშაობისას. ამ მხრივ გამოირჩევიან ქ. თბილისის მე-80, საჩხერის 1-ლი და სხვ. სკოლები.

მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრდის შესანიშნავ მაგალითს იძლევიან ქ. თბილისის კიროვის რაიონის 75-ე ქართული, 72-ე რუსული, 74-ე სომხური და 73-ე აზერბაიჯანული სკოლები, რომლებიც აწყობენ მეგობრულ შეხვედრებს, ერთობლივ ექსკურსიებს, რუსული, ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის დღეებს, აგრეთვე კოლექტიურ სვლებს კინო-თეატრებსა და მუზეუმებში.

ახმეტის მე-2, ქობულეთის 1-ლი და მთელი რიგი სხვა სკოლების მოსწავლეები მეგობრულ კავშირს ამყარებენ სხვა რესპუბლიკების სკოლების თავიანთ პატარა კოლეგებთან.

საქართველოს სკოლების მოსწავლეები იზრდებიან საბჭოთა ხალხის მდიდარ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე: ქ. სოხუმის მე-12 სკოლის „ახალგაზრდა ჩაპაეველთა“ რაზმის წევრები სწავლობენ ამ ლეგენდარული სარდლის დივიზიის საბრძოლო გზას, ქ. თბილისის 37-ე; 41-ე, 88-ე, სოხუმის მე-10, საჩხერის 1-ლ და სხვა სკოლებში გახსნილია საბრძოლო დიდების საინტერესო მუზეუმები, ქ. გორის „საბრძოლო დიდების“ მუზეუმი კარგად ეხმარება ქ. გორისა და გორის რაიონის სკოლებს მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში. გეგეჭკორის რაიონის სოფ. სალხინოს სკოლა ატარებს მოსწავლეთა შეჯიბრებებს სროლაში, კარგად აქვს მოწყობილი დაწყებითი სამხედრო მომზადების კაბინეტი. ბავშვები სიყვარულით უვლიან სკოლის ბაღში მათ მიერ დარგულ 168 ძირ ხეს; რომლებშიც სიმბოლურად ინახავენ სამამულო ომში დაღუპული ყოველი თანასოფლელის ხსოვნას.

მოსწავლე ახალგაზრდობას შორის დიდ მუშაობას ეწევიან პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, ესთეტიკური

აღზრდის მეთოდკაბინეტი და ნორჩ ტურისტთა ცენტრალური რესპუბლიკური სადგური.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მიერ გარკვეული მუშაობა ტარდება სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებრიობას შორის კავშირის განსამტკიცებლად.

განათლების სამინისტრომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, მიმდინარე წლის თებერვალში ჩაატარა სახალხო განათლების, სკოლისგარეშე დაწესებულებებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელმაც შეიმუშავა რეკომენდაციები კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისათვის.

განათლების სამინისტრო სათანადო ყურადღებას აქცევს მცირეწლოვანთა შორის სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარებას: იგი სისტემატურად მოითხოვს განათლების განყოფილებებისაგან სამართალდარღვევის ყოველი ფაქტის საფუძვლიან განხილვას მასწავლებლებში, მშობლებში, მოსწავლეთა კოლექტივებში და სათანადო ზომების მიღებას.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, სკოლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებაში რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებსა და სკოლებს აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი:

ჯერ კიდევ მრავლად არის მცირეკომპლექტიანი სკოლები: რესპუბლიკის 1400 დაწყებითი სკოლიდან 387-ში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 10 ბავშვს, 242-ში მათი რიცხვი 10-დან 15-მდეა, 246 სკოლაში—16-დან 20-მდე და 238 სკოლაში 21-დან 30-მდე მოსწავლეა.

რვაწლიანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საქმის მდგომარეობის ჯეროვანი ანალიზის უქონლობისა და ამ მიზნით ჯერ კიდევ საჭირო ღონისძიებათა განუხორციელებლობის გამო, წინანდებურად დიდია სკოლებიდან რვაკლასდაუმთავრებულ მოსწავლეთა გაითესვა: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებისა და რიგი ქალაქებისა და რაიონების სტატისტიკური ანგარიშების მონაცემები გაითესილ მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ არ შესაბამება ფაქტიურ მდგომარეობას; ასე მაგალითად, აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო იმ გაითესილ მოსწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა რიცხვად, რომელთაც არ დაუმთავრებიათ რვაწლიანი სკოლის ასახელებს 114-ს მაშინ, როდესაც იგი 200-ზე მეტს შეადგენს.

თავის მხრივ, ასეთი მდგომარეობა იწვევს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღრიცხვის მასალებში დაუზუსტებელი მონაცემების გაჩენას. 1971—1972 სასწავლო წელს (1972 წლის ზაფხულის ჩათვლით) IV—VIII კლასებიდან წავიდა პროფტექნიკურ სასწავლებელში, საღამოს (ცვლის) სკოლებში და სამუშაოზე მოეწყო 467%. 1972/773 სასწავლო წელს მათგან აგრძელებს სწავლას რვაწლიანი განათლების მისაღებად მხოლოდ 2137 კაცი.

ბევრი სკოლის ხელმძღვანელი დღემდე განთესილად არ თვლის იმ მოსწავლეს, რომელიც წავიდა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში და იქ არ იღებს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო განათლებას. სკოლების დიდ ნაწილში არა აქვთ არასრულწლოვანთა კომისიების გადაწყვეტილებანი VI—VIII კლასების იმ მოსწავლეებზე, რომლებიც წავიდნენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სამუშაოზე და საღამოს (ცვლის) სკოლებში.

სახალხო განათლების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოსა და სკოლის ხელმძღვანელი არასერიოზულად ეკიდება სტატისტიკური ანგარიშების შედგენას; ასე მაგალითად, ქ. სოხუმის განათლების განყოფილების მიერ შედგენილი ნაკრები ანგარიშის მიხედვით IV—VIII კლასებიდან გავიდა 46 მოსწავლე, სკოლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით კი მათი რიცხვი 83-ს შეადგენს.

ქ. თბილისის 23-ე, 26-ე, 31-ე, 33-ე, 34-ე და 116-ე სკოლები არასწორედ უჩვენებენ VI—VIII კლასების მოსწავლეთა გასვლას ტექნიკუმებსა და სხვა სასწავლებლებში.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებში წარდგენილი სტატისტიკური ანგარიშები არ არის წესრიგში; ზოგ მათგანზე არც პასუხისმგებელი პირის ხელმოწერაა და არც ბეჭედია დასმული.

დღემდე საკმაო პასუხისმგებლობით არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივლისს დამტკიცებული ინსტრუქცია სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ. არ სრულდება აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 12 მაისის ბრძანება „სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვაში წესრიგის დამყარების ღონისძიებათა შესახებ". სკოლებს ან საერთოდ არა აქვთ რაისაბჭოებისა და სასოფლო საბჭოებისაგან მიღებული მოსწავლეთა პირ-

ველადი სიები, ან თუ აქვთ, ისინი არაზუსტია. ქობულეთის რაიო-ონის სოფ. ლეღვას სკოლას აქვს სასოფლო საბჭოს მიერ გადაგზავნილი სია, მაგრამ იგი ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით არ არის შედგენილი: დოკუმენტი არ დასტურდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მასში არ არის დაზუსტებული ცნობები და სხვ. ამ სიით 378 მოსწავლეა აღრიცხული, სკოლაში კი ფაქტიურად სწავლობს 405.

რესპუბლიკის მთელი რიგი სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები დროულ ზომებს არ იღებენ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის წინააღმდეგ. 1971/1972 სასწავლო წელს, საშემოდგომო გამოცდების აღრიცხვით, საქართველოში იყო 28964 მეორეწლიანი, ე. ი. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 3.1%.

ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი სურათია აფხაზეთის ასსრ-ში. 3573 მეორეწლიანიდან, რომლებიც რესპუბლიკის სკოლებში სწავლობენ, მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში კვლავ ვერ ასწრებს 1478 (31%) მოსწავლე, 98661 შეფასებული მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვს 14703 (15%) მოსწავლეს, მათ შორის სამ და მეტ საგანში—8431-ს (57.%). რესპუბლიკის ბევრ სკოლაში გამეფდა, განსაკუთრებით სასწავლო წლის 1-ელ მეოხედში, შეფასება—„2“-ის მასობრივად დაწერის პრაქტიკა. ქ. სოხუმის 19 სკოლიდან 7-ის აკად. მოსწრება თითქმის ყოველი წლის პირველ მეოთხედში შეადგენს 82—83%-ს. საშემოდგომო გამოცდების შემდეგ მოსწრება იზრდება 10%-ით, მაგრამ მათი უმრავლესობა, ვინც შემოდგომაზე აბარებს გამოცდებს, კვლავ აკადემიურად ჩამორჩენილთა რიგებშია მეორე წელსაც.

ქ. ბათუმის მე-20 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა მ. სოსელიამ მესამე მეოთხედში მე-9 კლასში ჩაატარა 5 საკონტროლო სამუშაო და 125 შეფასებიდან „2“ დაწერა 74.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია სკოლების მატერიალური ბაზა, იგი ჩამორჩება კონტინგენტის ზრდას, რის გამოც იმატებს ორ ცვლაში მომუშავე კლასების რაოდენობა. ეს მდგომარეობა რამდენადმე იმითაც არის გამოწვეული, რომ სასკოლო მშენებლობის გეგმა არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებებით, განსაკუთრებით კოლმეურნეობათა სახსრებით, არ სრულდება: 1972 წელს გეგმა ითვალისწინებდა 10123 მოსწავლე-ადგილს, მაგრამ სასკოლო შენო-

ბა აშენდა 1708 მოსწავლისათვის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა აფხაზეთის ასსრ-ში, სადაც 22 სასკოლო შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, 10 სკოლა კი შეგუებულ, მეცადინეობისათვის უვარგის შენობაში მუშაობს. მიუხედავად ამისა, 1972 წელს სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა რესპუბლიკაში მხოლოდ 76%-ით შესრულდა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მონაცემებით, 250 სასკოლო შენობას 51500 მოსწავლე-ადგილით სრულიად შეცვლა ესაჭიროება. მძიმე მდგომარეობაშია მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი, რომელიც სამ ოთახში მოთავსებული და სრულიად არა აქვს საერთო საცხოვრებელი.

ნელი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო ინტერნატების მშენებლობა განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში, მათი უქონლობის გამო კი აუცილებელი ხდება მცირეკომპლექტიანი რვაწლიანი სკოლების შენარჩუნება.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში მოუგვარებელია მოსწავლეთა კვება; ბუფეტი ან სასადილო 1466 დაწყებითი სკოლიდან აქვს მხოლოდ ერთს, 1091 რვაწლიანი სკოლიდან 167-ს და 1573 საშუალო სკოლიდან—1076—ს. ღარიბია პროდუქტების ასორტიმენტი, თითქმის არ არის რძის პროდუქტები, ბოსტნეული და ხილი. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს.

სკოლების დიდი ნაწილი არასაკმაოდ არის უზრუნველყოფილი სასწავლო-თვალსაჩინოებით და სწავლების ტექნიკური საშუალებებით. ნელა ინერგება კაბინეტური სისტემა. ამ მხრივ რესპუბლიკა ჩამორჩება საერთო—საკავშირო დონეს. სკოლებში განსაკუთრებით (სოფლის სკოლებშიც კი) ცოტაა ბიოლოგიის კაბინეტები. კაბინეტები აქვთ საშუალო სკოლების 49, 9%-ს, 8-წლიანი სკოლების 22,7%-ს.

მთელი რიგი სკოლების კაბინეტებს არა აქვთ დაბნელება. სერიოზული ნაკლოვანებანია კაბინეტების მოწყობილობათა შენახვასა და განლაგებაში; ქ. ბათუმის 1-ელ სკოლა-ინტერნატში ქიმიის კლას-კაბინეტი, შუახევის რაიონის ფარატაულის საშუალო სკოლის ფიზიკის, ბიოლოგიისა და მთელი რიგი სხვა სკოლების სასწავლო კაბინეტები გადაქცეულია საწყობებად. ქ. სოხუმის 1-ლი სკოლის ფიზიკის კაბინეტში არ იყო ის სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოები, რომლებიც ჰქონდა სათანადო თვალსაჩინოების მაღაზიას.

F3809

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, მაღაზიას ყოველთვის როდი აქვს სკოლისათვის საჭირო მოწყობილობა.

ცუდად არის გაფორმებული ბევრი სასწავლო კაბინეტი; სკოლები არასაკმაოდ იყენებენ მათ განკარგულებაში არსებულ ტექნიკურ საშუალებებს. ძალიან ცოტა აქვთ კინოფილმების პირები. სასწავლო კინოს გამოყენებას კიდევ ისიც აძნელებს, რომ ეს პირები გახმოვანებულია მხოლოდ რუსულ ენაზე.

საჭირო კონტროლი არ ხორციელდება 1972 წლის 23 ოქტომბრის № 1/1579 ცირკულიარულ წერილში „საშუალო სკოლებში სასწავლო კაბინეტების შესახებ" მოცემულ რეკომენდაციათა შესასრულებლად. ნელი ტემპით მიმდინარეობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 თებერვლის ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების საკითხებზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების განათლების სამინისტროების წარმომადგენელთა თათბირ-სემინარის მუშაობის შედეგების შესახებ.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ბევრი სკოლის ავეჯი: პატარაა საკლასო დაფები, ცუდად არის შეღებილი და ძნელია მათზე დაწერილის გარჩევა. ბევრი მერხი, განსაკუთრებით სოფლის სკოლებში, მოითხოვს შეცვლას. სინათლე საკლასო ოთახებში არ არის ნორმის ფარგლებში, ისედაც არასაკმაო რაოდენობის ელნათურებს არა აქვთ საკმაო სიძლიერე, ბევრ სკოლას არა აქვს განათებისათვის საჭირო მოწყობილობა,

დაბალია რესპუბლიკაში გამოცემული მთელი რიგი სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი. სკოლები ცუდად არიან უზრუნველყოფილნი დამხმარე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდ პირობებში მუშაობს ახალი ნათარგმნი სახელმძღვანელოებით მომუშავე ის მასწავლებლობა, რომელიც ქართულ ენაზე ასწავლის. განსაკუთრებულ სიძნელეს ამ მხრივაც სოფლის სკოლები განიცდიან.

ღარიბია სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები. რესპუბლიკაში ერთ სასკოლო ბიბლიოთეკაზე საშუალოდ მოდის 2470 წიგნი მაშინ, როდესაც საკავშირო მაჩვენებელი 3169 ერთეულს შეადგენს. სასკოლო ბიბლიოთეკებს არა აქვთ პროგრამით შესწავლილი და კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიით გათვალისწინებული ნაწარმოებები. ბიბლიოთეკებში არ ჰყავთ მოსწავლეთა აქტივი წიგნის პროპაგანდის გასაწევად და არსებული ფონდის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცავად. მოსწავლეთა ერთი ნაწილი არ უფრთხილდება სახელ-მძღვანელოებს, რის გამოც ისინი ერთი წლის სარგებლობის შემდეგ უკვე უვარგისი ხდება.

შესწავლილ იქნა რუსული ენისა და ლიტერატურის (ქართულ სკოლებში), მათემატიკისა და ფიზიკის (რუსულ და ქართულ სკოლებში) სწავლების მდგომარეობა და მოსწავლეთა ცოდნის დონე. ამ საგნებში საკონტროლო წერები შეასრულა 17662-მა მოსწავლემ.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში წერა 3661-მა მოსწავლემ. მათგან 1338-მა მეოთხეკლასელმა, 1137-მა მერვეკლასელმა და 886-მა მეათეკლასელმა; აქედან მეოთხეკლასელთაგან დადებითი შეფასება მიიღო მოსწავლეთა 85%-მა, მერვეკლასელების 88%-მა და მეათეკლასელთა 85%-მა.

ფიზიკაში წერა 5632-მა მოსწავლემ, მათ შორის 2869 მეექვსეკლასელმა, 1820-მა მეცხრეკლასელმა და 1043-მა მეათეკლასელმა. მათგან დადებითი შეფასება მიიღო მეექვსეკლასელთა 84%-მა, მეცხრეკლასელთა 80,4%-მა, მეათეკლასელთა 88%-მა.

მათემატიკაში წერა 8569 მოსწავლემ, მათ შორის მეექვსეკლასელებმა ალგებრაში—1203-მა, გეომეტრიაში—968-მ, მერვეკლასელებმა-ალგებრაში 1856-მა, გეომეტრიაში 165-მა, მეათეკლასელებმა ალგებრასა და ელემენტარულ ფუნქციებში—1637-მა, გეომეტრიაში—1249 აქედან დადებითი შეფასება მიიღო მეექვსეკლასელთაგან ალგებრაში 87%-მა, გეომეტრიაში—79%-მა, მერვეკლასელთაგან ალგებრაში—81%-მა, გეომეტრიაში—79%მა, მეათეკლასელთაგან ალგებრასა და ელემენტარულ ფუნქციებში—89%-მა გეომეტრიაში 87%-მა.

ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლებაში შეინიშნება გარკვეული ნაკლოვანებანი.

VI კლასებში ალგებრის საკონტროლო წერითი ნამუშევრებიდან ჩანს, რომ არასაკმაოდ მუშავდება შესწავლილი თემების ძირითადი დაწყებითი ცნებები, სუსტად არის გამოყენებული დიდაქტიკური მასალები, ტაბულები, სქემები და ა. შ.

ამ კლასებში გეომეტრიული მასალის შესწავლისას ადგილი აქვს ფორმალიზმს, გაკვეთილზე გამოყენებული არ არის მოსწავლეთა პრაქტიკული გამოცდილება, მათი გეომეტრიული ინტუიცია; საგანი ისწავლება აბსტრაქტულად, ცხოვრებასთან დაუკავშირებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლად. არასაკმაო ყურადღება ექცევა მოსწავლეებში გრაფიკული ჩვევების დანერგვას.

გეომეტრიაში არადამაკმაყოფილებელი ცოდნა აქვთ მერვე და მეათე კლასების მოსწავლეებსაც. მათ არა აქვთ ზეპირი ანგარიშის ცოდნა-ჩვევები. მოსწავლეებს არა აქვთ განვითარებული სივრცობრივ გეომეტრიული წარმოდგენები. მათ ფორმალურად აქვთ ათვისებული მნიშვნელოვანი მათემატიკური ცნებები.

გაკვეთილზე მასწავლებლის მუშაობას ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი: ზოგიერთი მასწავლებელი იჩენს მოსწავლეთა შემეცნებითი უნარის შეუფასებლობას. იგი ჯერ კიდევ არ სარგებლობს მოსწავლეთა აზროვნების განვითარებისათვის საჭირო ისეთი ხერხებით, როგორიცაა შედარება, ანალიზი, განზოგადება; მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა ჯერ კიდევ არ გამხდარა სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად.

მეთოდურ გაერთიანებათა გეგმებში არასაკმაოდ გვხვდება თემები ახალი პროგრამებიდან. გაერთიანებათა სხდომებზე არ კეთდება უფრო რთული თემების სწავლებისა და საგანში მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილის მოუსწრებლობის ანალიზი.

ახალი პროგრამების მიხედვით მასწავლებელთა გადამზადება არ პასუხობს პრაქტიკულ მოთხოვნებს. VI კლასების მათემატიკის მასწავლებელთა გადამზადებას ფორმალური ხასიათი აქვს, საკმაო დრო არ ეთმობა გეომეტრიას.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ფიზიკის სწავლებაში: ბევრ მოსწავლეს კარგად აქვს ათვისებული სახელმძღვანელოს თეორიული მასალა, მაგრამ არ შეუძლია პრაქტიკაში მისი გამოყენება. მოსწვლეები ბევრ შეცდომას უშვებენ გამოთვლით გამოანგარიშებაში. ისინი ზეპირი პასუხისას არ სარგებლობენ თვალსაჩინო ხელსაწყოებით იმ შემთხვევაშიც კი, როცა სკოლას ამისათვის საჭირო მოწყობილობა აქვს. მოსწავლეები არაიშვიათად წერენ ფორმულას მოვლენის ფიზიკური არსის განმარტების გარეშე.

ქ. ქ. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, აგრეთვე გეგეჭკორის რაიონის სკოლებში არასაკმაოდ, 39%-ით სრულდება ლაბარატორიული სამუშაოები ფიზიკაში.

ფიზიკის სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მასწავლებლები არადამაკმაყოფილებლად არიან მომზადებულნი ახალი პროგრამით სწავლებისათვის. საჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფექტებს არ იძლევა რაიონულ და საქალაქო პედკაბინეტებში ჩატარებული მოკლევადიანი მეცადინეობანი. მასწავლებლის მუშაობას აძნელებს აგრეთვე მეთოდური ლიტერატურის დროულად გამოუცემლობა; VIII-X კლასებისათვის დიდაქტიკური მასალების, აგრეთვე ამოცანებისა და მაგალითების კრებულის უქონლობა. IX კლასების ფიზიკის მასწავლებლები მოკლებულნი არიან მეთოდურ სახელმძღვანელოებს. მათ არა აქვთ დამხმარე სახელმძღვანელო-„ფიზიკის სწავლება X კლასში ახალი პროგრამით“. ამ საგნის სწავლებას ართულებს ის გარემოებაც, რომ მათემატიკა უფროს კლასებში კვლავ ძველი პროგრამით ისწავლება, გარდა ამისა, მასწავლებლები, განსაკუთრებით სოფლად, არასაკმაოდ არიან მომზადებული ფიზიკის პრაქტიკული ნაწილის სწავლებისათვის. ამასთან, მიუხედავად აღნიშნულისა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი ამ საკითხებს თითქმის არ აქცევს ყურადღებას.

არადამაკმაყოფილებელია შინასასკოლო კონტროლი ფიზიკის მასწავლებელთა მუშაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სკოლებში, განსაკუთრებით ქალაქად, მოპოვებულია გარკვეული წარმატებანი რუსული ენის სწავლებაში, მაინც შეინიშნება ზოგი სერიოზული ხარვეზი.

რიგ შემთხვევაში რუსული ენა ისწავლება დაბალ მეთოდურ დონეზე. ადგილი აქვს გრამატიკული მასალის მექანიკურ დასწავლას, მასწავლებლები არასაკმაოდ მუშაობენ მოსწავლეებში ზეპირი მეტყველების ჩვევების განვითარებისათვის. სოფლის მასწავლებლები ქართული ენით სარგებლობენ არა მარტო სიტყვებისა და სიტყვათწარმოების ახსნისას, არამედ წინადადების აზრისა და ტექსტის შინაარსის გაცნობის დროსაც.

არარაციონალურად არის გამოყენებული სასწავლო დრო: ბევრი დრო იხარჯება წესებისა და განსაზღვრებების, ბრუნვებისა და ცალკეული სიტყვების ბრუნების მექანიკურ დასწავლაზე. ამ პირობებში უყურადღებოდ რჩება მრავალგვარი შემოქმედებითი სახის მუშაობა. ხშირად, გაკვეთილებზე ლოგიკური კავშირი არ მყარდება ლიტერატურულ მასალასა და გრამატიკულ სავარჯიშოთა სისტემას შორის. მოსწავლეთა დიდი ნაწილი როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში, განსაკუთრებით სოფლის სკოლებში, უშვებს დიდი რაოდენობის ენობრივი ხასიათის შეცდომებს; მოსწავლეებს არა აქვთ კითხვის დამაკმაყოფილებელი ჩვევები.

ნაკლოვანებანი რუსული ენის სწავლებაში მნიშვნელოვანწილად შეპირობებულია მოქმედი სახელმძღვანელოებისა და მეთოდური წიგნების ხარვეზებით. რუსული ენის მასწავლებლები განიცდიან მეთოდური ლიტერატურის მწვავე ნაკლებობას. არ არის დამხმარე სახელმძღვანელოები, კრებულები კარნახისათვის, სავარჯიშოები, სასწავლო ლექსიკონები და სხვ. ამიტომ მასწავლებლები სარგებლობენ ძველი, 20 წლის წინათ გამოცემული მასალებით. სკოლები ცენტრალიზებული წესით არ მარაგდება თვალსაჩინოებით—სურათებით, ტაბულებით და სხვა მასალებით.

ბევრ სკოლაში არ არის შექმნილი რუსული ენის კაბინეტი, ლინგოფონური კაბინეტები მხოლოდ უცხო ენების მასწავლებელთა განკარგულებაშია.

რუსული ენის ფაკულტატიური მეცადინეობის პროგრამები აღარ გამოცემულა 1969 წლის შემდეგ. საგანში ამ სახის მუშაობისათვის არ არის დამხმარე სახელმძღვანელო. არ ტარდება სატელევიზიო და რადიოგადაცემები რუსული ენის შესასწავლად. თვითგანვითარებისათვის მომუშავე დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების მსმენელ სოფლის სკოლის რუსული ენის მასწავლებელთათვის არ არის დამუშავებული პროგრამები და მეთოდური რეკომენდაციები, ჟურნალს „რუსული ენა და ლირერატურა ქართულ სკოლაში“ არა აქვს სპეციალური განყოფილება „თვითგანათლების დასახმარებლად“.

სკოლებში შეინიშნება სარიოზული ნაკლოვანებანი აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციასა და შინაარსში.

რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების სკოლებში არასაკმაო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. შემთხვევით ხასიათს ატარებს პოლიტინფორმაციები და პოლიტიკური მიმოხილვები, უფროსკლასელთათვის იშვიათად ტარდება თეორიული კონფერენციები სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ახალგაზრდობის პოლიტიკური ცხოვრების, ვ. ი. ლენინის ცალკეული შრომების, საკ. ალკკ ყრილობების მასალებისა და კომკავშირის ისტორიის შესასწავლად.

სახალხო განათლების ორგანოები არასაკმაო ანალიზს უკეთებენ სკოლაში აღმზრდელობით მუშაობას. რიგ რაიონებში საკმაო კონტროლი არ ეწევა სკოლების ორგანიზატორებისა და კლასის ხელმძღვანელთა მიერ გაკვეთილის გარეშე ჩატარებულ ღონისძიებებს; ასე მაგალითად, გუდაუთის რაიონის განათლების განყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების არც ერთ საინსპექტორო აქტში არ არის გაკვეთილის გარეშე აღმზრდელობითი ღონისძიების მუშაობის ანალიზი და შეფასება. ეს საკითხები ღრმად არ არის მოცემული აგრეთვე თვით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ინსპექტორთა მოხსენებით ბარათებში.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში მოსწავლეთა აღსაზრდელად ცუდად იყენებენ ახალგაზრდული გაზეთების მასალებს: არ არის მოწყობილი სტენდები გაზეთებისათვის, პრაქტიკაში არ არის დანერგილი კითხვა და ცალკეული სტატიების განხილვა მოსწავლეთა კოლექტივებში.

არასაკმაო მუშაობა ტარდება მოსწავლეთა „ქცევის წესების“ დასანერგად; სკოლების ერთ ნაწილში ცუდად არის იგი გაფორმებული და მისი შინაარსი დაყვანილი არ არის ყოველ მოსწავლემდე.

სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სისტემის შესაქმნელად. ისინი საჭირო ყურადღებას არ უთმობენ მოსწავლეებში საზოგადოებრივი აქტივობის ჩვევების აღზრდას.

არასაკმაო მუშაობა ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებისათვის. ეს საკითხი საჭირო ასახვას ვერ პოულობს პედაგოგიური საბჭოებისა და სკოლების საინსპექტორო შემოწმებათა მასალებში.

მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გეგმებში საჭირო ყურადღება არა აქვს დათმობილი მოსწავლეებში ქცევის კულტურის აღზრდის საკითხებს.

საშეფო ორგანიზაციები და საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ არასაკმაოდ ეხმარებიან სკოლას მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ამ მხრივ ნაკლები ყურადღება ექცევა საბავშვო სპორტული მოედნებისა და სხვადასხვა სახის კლუბების მოწყობას მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილების „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შემდგომი განვითარების შესახებ“ შესასრულებლად, კოლეგიის 1972 წლის 27 ივლისის დადგენილებით, შეიმუშავა და დამტკიცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკულ ღონისძიებათა ვრცელი გეგმა, რომელიც თავის დროზე დაეგზავნა სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბრიგადის მიერ 1973 წლის აპრილში ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლინებულ და მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ სხვა სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბრიგადამ რესპუბლიკაში **სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობას შემოწმების შედეგებზე 1973 წლის 17 აპრილს** მოახსენა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომას.

2. 1973 წლის 23 აპრილს აღნიშნული შემოწმების შედეგების განხილვისა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საკითხს მიეძღვნა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების სპეციალური რესპუბლიკური თათბირი.

3. განათლების სამინისტროს სათანადო სამმართველო-განყოფილებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ **სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილებით სახალხო განათლების წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად;**

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლების, განსაკუთრებით სოფლის სკოლების, სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, რისთვისაც:

— ადგილობრივი ორგანოების დახმარებით, რაც შეიძლება მეტად ჩააბან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სოფლის სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში;

— თვითეული სკოლის, რაიონის, ქალაქის მიხედვით შეიმუშაონ პერსპექტიული გეგმა საკლასო კაბინეტების შექმნისა და მათი გამდიდრებისათვის; ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, მშობლიური და

რუსული ენებისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ზოგადოებათმცოდნეობის კაბინეტების შექმნასა და შევსებას;

— რუსული ენის შესასწავლად გამოიყენონ ლინგოფონური კაბინეტები;

— განაზოგადონ კაბინეტური სისტემისა და სასწავლო კაბინეტების მოწყობის მოწინავე გამოცდილება;

— ყოველწლიურად მოაწყონ რესპუბლიკური კონკურსები საუკეთესო სასწავლო თვალსაჩინოებაზე, სასწავლო კაბინეტებზე, სასწავლო-საცდელ ნაკვეთებსა და სპორტულ მოედნებზე;

— ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში თვითნაკეთი ხელსაწყოების, თვალსაჩინო მასალებისა და მოსწავლეთა მიერ შესრულებულ საუკეთესო ნამუშევართა გამოფენების მოწყობა;

გ) მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში შეამოწმონ ყველა სკოლის მიკრორაიონში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების განხორციელებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების ფაქტიური მდგომარეობა. მიიღონ ქმედითი ზომები რვაწლიანი განათლების მიღებამდე სკოლებიდან ბავშვთა და მოზარდთა გასვლის შემთხვევების მთლიანად აღსაკვეთად. გამოავლინონ და სწავლებაში ჩააბან სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და მოზარდი. გააძლიერონ სკოლების ხელმძღვანელობის, პედაგოგიური კოლექტივებისა და მოსწავლეთა მშობლების პასუხისმგებლობა ამ დიდმნიშვნელოვან საერთო—სახალხო და სახელმწიფოებრივ საქმეში;

დ) სრული წესრიგი დაამყარონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვასა და სტატისტიკური ანგარიშების შედგენაში; აღკვეთონ ზემდგომ ორგანოებში ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების უპასუხისმგებლოდ წარმოდგენის შემთხვევები. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს პირადი პასუხისმგებლობა დაეკისროთ მათ დროულად შედგენასა და დადგენილ ვადებში ზემდგომ ორგანოებში დროულად წარმოდგენისათვის;

ე) განაზოგადონ სახალხო განათლების იმ ადგილობრივი ორგანოსა და სკოლის მოწინავე გამოცდილება, რომელთაც დამაჯერებელ წარმატებას მიაღწიეს საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიან და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის საქმეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) გადასინჯონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრების შემადგენლობა და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ზომები მათ გასაუმჯობესებლად. ამასთან, გაითვალისწინონ, რომ სკოლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად მუშაობდეს საბუნებისმეტყველო ციკლის რომელიმე საგნის სპეციალისტი;

ზ) საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ცალკეული საგნების ახალი პროგრამებით სწავლებისსაკითხებზე მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩაატარონ განათლების განყოფილებათა სასკოლო ინსპექტორების სარაიონთაშორისო, ზონალური თათბირ-სემინარები;

თ) 1973-74 წლებში შეისწავლონ იმ სკოლების მუშაობა, რომლებსაც წლების მანძილზე აქვთ დაბალი აკადემიური მოსწრება;

ი) სისტემატური კონტროლი განახორციელონ სასწავლო პროგრამების შესრულებაზე; ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათი პრაქტიკული ნაწილის — ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას, სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა მტკიცედ დანერგვას

კ) გულმოდგინედ შეისწავლონ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის დადებითი გამოცდილება და გაატარონ ღონისძიებანი მისი განზოგადებისათვის. ამ მხრივ აამაღლონ ადგილებზე სკოლებში საგნობრივ მეთოდგაერთიანებათა და განათლების განყოფილებათა მეთოდკაბინეტების როლი და პასუხისმგებლობა;

ლ) მიიღონ ზომები მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. ამ მიზნით გამოყონ სახსრები მათში ლინგოფონისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების კაბინეტების მოსაწყობად აგრეთვე სხვა კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებისა და თვალსაჩინო მასალების შესაძენად;

მ) აამაღლონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დონე, რისთვისაც:

— აამაღლონ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების როლი მოსწავლეთა აღზრდაში, ლექციებისა და საუბრების ჩასატარებლად პერიოდულად მოიწვიონ ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გამოჩენილი წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირები;

— შექმნან სკოლებში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ერთიანი სისტემა;

ნ) მიიღონ ზომები მიკრორაიონში მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად; ფართოდ გამოიყენონ პედაგოგიურ პრესაში გაშუქებული ლენინგრადის, ზაპოროჟიეს და სხვ. ქალაქების გამოცდილება. მოაწყონ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული საინტერესო, აღმზრდელობითი მნიშვნელობის სტატიების განხილვა;

ო) გულდასმით შეისწავლონ სკოლებში მასწავლებელთა მუშაობაზე შინასასკოლო კონტროლის, დახმარებისა და ხელმძღვანელობის მდგომარეობა და, საჭიროების შემთხვევაში, გაატარონ ღონისძიებანი მისი დონის ამაღლებისათვის;

პ) სკოლების ინსპექტირებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ „ქცევის წესების“ დაცვის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ სათანადო ზომები;

ჟ) გადაჭრით გააუმჯობესონ სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობა, მიიღონ ზომები ცხელი საუზმით მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ და კადრების განყოფილებამ (ამხ. რ. კანდელაკმა და ამხ. ირ. კვაჭაძემ) საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შესაბამის განყოფილებებთან ერთად:

ა) შეიმუშაონ წინადადებანი რაიონის სკოლებში მასწავლებელთა კადრების დამაგრების მიზნით პედაგოგიურ ინსტიტუტებში შორეული სასოფლო სკოლების კურსდამთავრებულთა კონკურსგარეშე მიღების შესახებ;

ბ) შეიმუშაონ და განახორციელონ უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებისათვის სტუდენტთა მომზადების ღონისძიებანი;

გ) შეისწავლონ საკითხი სკოლებისათვის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ და თავიანთი დასაბუთებული წინადადებანი წარმოადგინონ ა. წლის 20 ივლისამდე.

5. ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძემ) განათლების სამინისტროს მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების განყოფილებებთან (ამხ. ამხ. ვ. ცაავა, ზ. როგავა) ერთად:

ა) გაახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი რესპუბლიკის სკოლებისადმი მეთოდური დახმარების შემდგომ გასაძლიერებლად; შეისწავლოს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის დადებითი გამოცდილება და მიიღოს ზომები მათი განზოგადებისათვის; დაამუშაოს ცალკეული საგნების მეთოდგაერთიანებათა მუშაობის სანიმუშო თემატიკა;

ბ) დაამუშაოს და განახორციელოს სკოლებისათვის პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის მომზადებისა და გამოცემის გეგმა, პირველ რიგში იმ მასწავლებელთა დასახმარებლად, რომლებიც მუშაობენ ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით, აგრეთვე ნაციონალური სკოლების რუსული ენის მასწავლებელთათვის;

გ) დაამუშაოს სასწავლო პროგრამები და მეთოდური რეკომენდაციები რუსული ენის მასწავლებელთა თვითგანათლებისათვის. ყურადღება გაამახვილოს ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების მნიშვნელოვანი პრობლემების სამეცნიერო-მეთოდურ შესწავლაზე;

დ) დააჩქაროს ქართული სკოლების რუსული ენის მასწავლებელთა დასახმარებლად სახელმძღვანელოების, დიდაქტიკური და თვალსაჩინო მასალების, სასწავლო დიაფილმების, კინოფილმებისა და ფონოქრესტომათიების მომზადება და გამოცემა.

6. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა):

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ საგნების მასწავლებლებისადმი დახმარებას, რომლებიც მუშაობენ ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით;

ბ) სისტემატურად მოაწყოს კურსები (სემინარები) რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებისათვის;

გ) შემოიღოს ინსტიტუტსა და მის ფილიალებში, აგრეთვე ქალაქებისა და რაიონების მეთოდურ კაბინეტებში სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა კადრების გადამზადების პერსონალური აღრიცხვა;

დ) პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად მასწავლებელთა და მოსწავლეთა დასახმარებლად მოამზადოს რუსული ენის პრაქტიკული ათვისების მიზნით გადაცემათა სერია ტელევიზიითა და რადიოთი;

ე) 1974 წლის პირველ კვარტალში ჩაატაროს რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შიდასასკოლო კონტროლის სტილსა და მეთოდების სრულყოფის საკითხებზე.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძემ):

ა) განახორციელოს ღონისძიებები დგამ-ავეჯით და კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინო მასალებით რესპუბლიკის სკოლების უზრუნველსაყოფად;

ბ) მკვეთრად გააუმჯობესოს თვალსაჩინო ხელსაწყოების მაღაზიისა და მისი ფილიალების მუშაობა.

8. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძემ):

ა) სისტემატურად გამოაქვეყნოს მასალები სკოლის შესახებ **სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილების სახალხო განათლების ორგანოებისა და** სკოლების წინაშე დასახული ამოცანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ბ) გამოაქვეყნოს ამ ბრძანების ვრცელი, ანოტირებული მასალა.

9. ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. გ. ხაჯაიამ) გააძლიეროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი დახმარება, რისთვისაც ჟურნალსა და მის დამატებებში სისტემატურად გააშუქოს სახალხო განათლების ცალკეული ორგანოებისა და სკოლების საქმიანობა, განსაკუთრებით ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მომუშავე მასწავლებლების მუშაობა მათ წინაშე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზემოხსენებული დადგენილებით დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

10. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და შესაბამის დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიების, ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოების, რესპუბლიკური პედაგოგიური პრე-

სის სარედაქციო კოლეგიების და განათლების განყოფილებათა სახალხო განათლების საბჭოების უახლოეს სხდომებზე განიხილონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბრიგადის მიერ საქართველოს სსრ სკოლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შემოწმების შედეგები, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მითითებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ბ) ა/წლის 1-ლი ნოემბრისათვის მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) განახორციელოს კონტროლი და ხელმძღვანელობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე;

ბ. ა/წლის 20 ნოემბრამდე გააანალიზოს ამ ბრძანებით დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებების, დაწესებულებების, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ჩატარებული მუშაობა და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკურ კომისიას, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლებიდან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და საღამოს (ცვლის) სკოლაში მოსწავლეთა გადაყვანასა და სამუშაოზე მოწყობის საქმეში.

13. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) დაავალოს სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონულ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, ჩაატარონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა, სათანადო სიების შედგენა და სკოლებისათვის მათი გადაცემა მოქმედი ინსტრუქციით გათვალისწინებულ ვადაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაავალოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, მიიღოს ზომები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის გამოსაცემად, მისი ტირაჟის გასაზრდელად და გამოშვებული პროდუქციის, განსაკუთრებით სასკოლო სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული შესრულების გადაჭრით გასაუმჯობესებლად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 7 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 18 ივნისის ბრძანება № 431

### რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების გახსნის შესახებ

რუსული ენის შესწავლის საქმეში ბავშვთათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით, განათლების სამინისტრო საჭიროდ თვლის გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა:

ა) ერთი თვის ვადაში შეისწავლონ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებულ არარუსულ სკოლამდელ დაწესებულებებში მყოფი ბავშვების მშობლების მოსაზრებანი, სურვილები და სადაც შესაფერისი პირობებია, განათლების სამინისტროს ნებართვით, მშობლების სურვილით და მათ ხარჯზე გახსნან რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფები; მათი შენახვა მოხდება იმ წესით, როგორც ეს უცხო ენების შემსწავლელი ჯგუფებისათვის არის გათვალისწინებული;

ბ) რუსული ენის შემსწავლელ ჯგუფებში პედაგოგებად შერჩეულ იქნან სპეციალური უმაღლესი განათლებისა და სათანადო გამოცდილების მქონე მასწავლებლები.

2. განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძემ) შეიმუშაოს სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების სამუშაო პროგრამები და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელი-შვილმა) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან (ამხ. ა. კვაჭაძე) ერთად შეიმუშაოს სანიმუშო ხარჯთაღრიცხვა სკოლამდელ დაწე-სებულებებში რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფებისათვის.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 7 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 26 ივნისის ბრძანება № 447

**სახალხო განათლების განვითარების გრძელვადიანი პერსპექტიული გეგმის (1976—1990 წ.წ.) პროექტის მომზადების შესახებ**

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი (1976—1990 წ.წ.) გეგმის შედგენის შესახებ“ არსებული დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამუშავებულია წინადადებანი სახალხო განათლების განვითარების ძირითადი სამეცნიერო—პედაგოგიური და სოციალურ-ეკონომიური პრობლემების შესახებ 1976—1990 წლებში.

გამომდინარე აღნიშნული წინადადებებიდან, მიმდინარე წლის 10 ოქტომბრამდე უნდა შემუშავდეს რესპუბლიკაში სახალხო განათლების გრძელვადიანი პერსპექტიული გეგმის პროექტი 1976—1990 წლებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

განათლების სამინისტროს შესაბამისმა სამმართველო-განყოფილებებმა წარმოადგინონ წინადადებანი ქვემოთ მოყვანილი საკითხების მიხედვით მ. წ. 1-ლ აგვისტომდე.

**სკოლამდელი აღზრდის განყოფილება (ამხ. გ. აბდუშელიშვილი):**

1. სკოლამდელი აღზრდის ქსელის განვითარების მოკლე დახასიათება 1960 წლიდან (კონტინგენტები, ქსელი, მატერიალური ბაზა, სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შინაარსი ა. შ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სკოლამდელი დაწესებულებებით სრული უზრუნველყოფის ნორმატივები და მათი განხორციელების ვადები;

3 სკოლამდელი დაწესებულებების განვითარების ტემპები და ძირითადი პროპორციები, სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის სრულყოფის ძირითადი პრინციპები:

4. მეცნიერული ორგანიზაციისა და აღზრდის მეთოდების-სრულყოფის გზები, სასწავლო-საარმზრდელო პროცესის ძირითადი მიმართულებები.

5. სამეცნიერო-პედაგოგიური მონაცემების გათვალისწინებით გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვების ხვედრითი წონის ოპტიმალური ნორმატივის განსაზღვრა, რომლებიც ჩაბმული უნდა იქნან სპეციალურ სკოლამდელ დაწესებულებებში. სპეციალური სკოლამდელი დაწესებულებების ბავშვთა კონტინგენტის გაანგარიშება შესაბამისი სოციალურ-ეკონომიური დასაბუთებით.

6. სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის ძირითადი ნორმატივები (მაქსიმალური, მინიმალური და ოპტიმალური ჯგუფების რაოდენობა; ჯგუფების საშუალო დატვირთვა; კვირეული მუშაობის რეჟიმი, ბავშვების სკოლამდელ დაწესებულებაში ყოფნის ხანგრძლივობა, დღიური ხარჯი კვებაზე ერთ ბავშვზე; საშუალო ნორმატივები და აღმზრდელთა დატვირთვა) და მათი აუცილებელი შეცვლა საპროგნოზო პერიოდში.

**სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი):**

1. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარების ძირითადი მიმართულებანი, მისი როლი და ფუნქცია საბჭოთა საზოგადოებაში; საშუალო განათლების თანამედროვე მდგომარეობა და ცვლილების დინამიკა საპროგნოზო პერიოდში სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად; საშუალო სკოლაში სწავლების ვადები; მეცნიერული ორგანიზაციის, სწავლებისა და აღზრდის სრულყოფის გზები სწავლების ტექნიკურ საშუალებათა ფართო გამოყენების გათვალისწინებით

და სასწავლ-საალმზრდელო პროცესის ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობით, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მოცულობა და კრიტერიუმები.

2. საშუალო განათლების მიღების გზები: ზოგადსაგანმანათლებლო დღისა და საღამოს (ცვლის) სკოლები, საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, საშუალო სპეციალური სასწავლებლები, განათლების ამ ფორმების ოპტიმალური შეფარდება ამჟამად და საპროგნოზო პერიოდში (სოფლისა და ქალაქის ცალ-ცალკე ჩვენებით).

3. ზოგადსავანმანათლებლო სკოლების ქსელი. სოფლის სკოლის პრობლემა, სკოლების ტიპები და სტრუქტურა, მათი ამოცანები; დაკომპლექტება, მუშაობის რეჟიმი (რვაწლიანი და საშუალო სკოლები, საღამოს (ცვლის) სკოლები, გახანგრძლივებული დღის სკოლები და ჯგუფები, სრული დღის რეჟიმის სკოლები: სკოლა-ინტერნატები, სკოლები გონებრივი და ფიზიკური დეფექტის მქონე ბავშვებისათვის, სასკოლო ინრერნატები). გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვების სკოლებით უზრუნველყოფა. გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვების ხვედრითი წონის ოპტიმალური ნორმატივის განსაზღვრა, რომლებიც ჩაბმული უნდა იქნან სპეციალურ სკოლებში;

4. საღამოს (ცვლის) სკოლების დაკომპლექტების ძირითადი წყაროები. ქალაქსა და სოფელში მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმის გზები; მოთხოვნები მომუშავე ახალგაზრდობის ცოდნის დონისადმი, მისი ამაღლების გზები, საღამოს (ცვლის), სკოლების ტიპები და სტრუქტურა, მათი მუშაობის რეჟიმი, სასწავლო პროცესის ორგანიზაცია.

5. „სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელის განვითარება, მათი განლაგების პრინციპები.

კადრების განყოფილებამ (ამხ. ირ. კვაჭაძე):

1. განათლების დაწესებულებების უზრუნველყოფა უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე სპეციალისტებით საპროგნოზო პერიოდში მათი გამოყენების გაუმჯობესების გათვალისწინებით. პედაგოგიური კადრების მოთხოვნილების ნორმატივები. ერთი მასწავლებლის სასწავლო დატვირთვის ნორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. პედაგოგიური კადრების მომზადების ძირითადი გზები სა-პროგნოზო პერიოდში. სპეციალობების დასახელება, სწავლების ვადები, სპეციალისტების შეფარდება უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური განათლებით, სწავლების ფორმების შეფარდება.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. ს. უჩანეიშვილი):

1. მოთხოვნები სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისა და პროექტირებისადმი (სხვადასხვა ტიპის სკოლამდელი დაწესებულებების ტიპიური პროექტების სრულყოფა, ერთ ბავშვზე ფართობის გაზრდა; მშენებლობის ვადების შემცირების გზები). ერთი ბავშვ-ადგილის ღირებულების გაანგარიშება, სკოლამდელი დაწესებულებების ბავშვ-ადგილების ექსპლუატაციაში გადაცემა და კაპდაბანდებათა საჭირო მოცულობა.

2. ძირითადი ნორმატივები და მოთხოვნები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობისა და პროექტირებისადმი. საკლასო ფართობის ნორმა ერთ მოსწავლეზე. ახლად მშენებარე სასკოლო შენობის მოსწავლე—ადგილის ოპტიმალური ნორმატივი. მოთხოვნილება სასკოლო მშენებლობისადმი. მოსწავლე-ადგილების ექსპლუატაციაში გადაცემა და კაპდაბანდებათა მოცულობა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობის საშუალო ღირებულება. კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურის სრულყოფა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხვედრითი წონა კაპდაბანდებათა მოცულობაში.

მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ
(ამხ. ს. არველაძე):

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თანამედროვე სასწავლო მოწყობილობით აღჭურვა. ახლად აშენებული სასკოლო შენობების, აგრეთვე არსებული სკოლების შესავსებად სასწავლო მოწყობილობისათვის საჭირო თანხების გაანგარიშება. წინადადებანი სასწავლო თვალსაჩინოებისა და სასწავლო მოწყობილობების გამოსაშვებად საპროგნოზო პერიოდში.

საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

1. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სავარაუდო რაოდენობა საპროგრამო პერიოდში;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. ერთი ბავშვის შენახვის საშუალო ღირებულების გაანგარიშება და სკოლამდელი დაწესებულებების შესანახად საჭირო ასიგნებანი სახელმწიფო ბიუჯეტით.

3. ზოგადი საშუალო განათლების განვითარების მოკლე დახასიათება 1960—1975 წლებში; ქსელი, კონტინგენტი; საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების ანალიზი; გახანგრძლივებული დღის სკოლები და ჯგუფები, სკოლა-ინტერნატები, საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები; სკოლისგარეშე დაწესებულებები, სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცება.

4. სასკოლო ასაკის ბავშვთა სავარაუდო რაოდენობა საპროგნოზო პერიოდში.

5. ერთი მოსწავლის სწავლებისა და ერთი ბავშვის შენახვის საშუალო წლიური ღირებულება გახანგრძლივებული დღის სკოლასა და ჯგუფში, სკოლა-ინტერნატში, სასკოლო ინტერნატში და საბავშვო სახლში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესანახად საჭირო ასიგნებათა დაანგარიშება.

ვავალებ სამმართველო—განყოფილებათა უფროსებს ამთავითვე გაშალონ ფართო მუშაობა აღნიშნული საკითხების დასამუშავებლად.

მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს საგეგმო-საფინანსო სამმართველოში 1-ლი აგვისტოსათვის.

საგეგმო-საფინანსო სამმართველომ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მოამზადოს რესპუბლიკაში სახალხო განათლების განვითარების გრძელვადიანი გეგმის (1976—1990 წ.წ.) პროექტი და წარადგინოს სსრ კავშირის განათლების სამინისტროში ა/წლის 10 ოქტომბრისათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ПРИКАЗ № 448 МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ОТ 25 ИЮНЯ 1973 ГОДА

Проверками и ревизиями учреждений подведомственных Министерству просвещения Грузинской ССР установлено, что все еще в ряде из них имеют место мелкие хищения государственного имущества, не уделяется должное внимание созданию нетерпимой обстановки к хищениям, недостаточно ведется работа по устранению причин и условий, способствующих им и т. д.

Так, в детсаде-яслях № 23 г. Батуми шеф-поваром Гатенадзе Л. М. было похищено 1 кг. киселя и 600 гр. сахара, тем же завхозом Бенделиани Г. В.—2 кг. мяса и 1 кг масла, в Гагрском детсад-ясле шеф-поваром Беловой было похищено 3 литра молока и 3 кг. хлеба, в столовой Тбилисской музыкальной школы-интерната было похищено продуктов на 139 руб. и т. д.

Приказ Министерства просвещения Грузинской ССР от 4 октября 1972 года № 553, предусматривающий систематическую проверку складского хозяйства не всюду выполняется.

В целях дальнейшей борьбы с мелкими хищениями социалистической собственности, во исполнение существующего решения П р и к а з ы в а ю:

1. Руководителям всех подведомственных Министерству просвещения Грузинской ССР учреждений и в особенности школ-интернатов, дет-домов, детсадов, детсадов-яслей усилить контроль над работой складов, кладовых, столовых,

введя систему систематических и внезапных проверок и опи-сей продуктов, выдаваемых кухням для питания детей;

— строго соблюдать нормы питания детей, недопуская снижения калорийности;

— ни один случай хищения не оставлять без реогирования, изучать причины и намечать конкретные мероприятия по их изжитию;

— не допускать либерального отношения к лицам, признанными виновними в мелких хищениях; дела на лиц виновных в хищениях передавать народным судам для привлечения их к ответственности, а в некоторых случаях товарищеским судам, с непременным возмещенмем нанесенного ущерба;

— проверить личный состав работников, допущенных на материально-ответственные должности, отстранив от работы ранее судимых за растраты и хищения.

2. Принять к сведению, что лица, виновные в мелких хищениях в Батумском № 23 и Гагрском детсадах уволены с работы, а вопрос о хищении продуктов в столовой музыкальной школы-интерната передны для привлечения виновных к ответственности Министерству торговли.

Предупредить руководителей всех организаций и учреждеиий системы Министерства просвещения Грузинской ССР, что они будут нести персональную ответственность за непринятие мер к полной ликвидзции случаев хищений в их учреждениях.

Приказ опубликовать в ближайшом номере Сборника приказов и инструкций Министерства просвещения Грузинской ССР.

М И Н И С Т Р

просвещения Грузинской ССР **Г. Лашкарашвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 27 ივნისის ბრძანება № 432

### ქ. რუსთავის ქიმიის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

განიხილა რა რუსთავის საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების მასალები, აღვნიშნავ, რომ სკოლა-ინტერნატის დირექციასა და პედაგოგიურ კოლექტივს ერთგვარი წარმატებები აქვთ მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. დამაკმაყოფილებლად ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლებელი ლ. ჟვანია, მათემატიკას— კ.მალაზონია, ქიმიას—ლ. პავლოვა, გერმანულ ენას ც.. შვანგირაძე, ფიზკულტურას – ბ. კაციაშვილი.პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას აღმზრდელები: კ. ცაავა, ნ. ჩალიბაშვილი, კ. მალაზონია, თ. ჯავახიშვილი და ნ. ასრათაშვილი.

სკოლა-ინტერნატის სასწავლო და საძინებელ კორპუსებში ძირითადად დაცულია გათბობისა და განათების ნორმები, აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით. დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა კვება, რომლის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დამხმარე მეურნეობა. 1971 წელს დამხმარე მეურნეობიდან სკოლა-ინტერნატმა მიიღო 10555 მანეთის შემოსავალი, აქედან ბავშვთა კვების გაუმჯობესებას მოხმარდა 3282 მანეთის პროდუქცია, მათ შორის პამიდორი 1315 კგ, სიმინდი 850 კგ, ხილი 550 კგ, ჭარხალი 35 კგ, ღორის ხორცი 1771 კგ. წინა წლებში დამხმარე მეურნეობიდან მიღებული მოგების თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობით აღჭურვის საქმეს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რუსთავის სკოლა-ინტერნატის დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები შეინიშნება: არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება ცალკეული საგნების სწავლება: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ნ. ბარათაშვილი და ლ. ინჯგია ნაკლებად ზრუნავენ თავიანთი თეორიული მომზადებისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის, გაკვეთილებს უინტერესოდ ატარებენ და სწავლების პროცესში ვერ ახერხებენ მოსწავლეთა ყურადღების აქტივიზაციას. მხატვრული ნაწარმოების შინაარსის გადმოცემის დროს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ნაწარმოების იდეურ მხარეს და მის დანიშნულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში სწორად ვერ არჩევენ საკონტროლო წერის თემებსა და მოსწავლეთა ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებენ. ამ მასწავლებლებს ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ მუშაობა ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მოთხოვნათა მიხედვით, მათ მუშაობაში არ ჩანს სიახლისკენ მისწრაფება, წინასწარ არ არჩევენ საკონტროლო კითხვებსა და გრამატიკულ სავარჯიშოებს. ბავშვებს არ ავარჯიშებენ შემოქმედებითი ხასიათის თხზულებებზე. ყოველივე ამის გამო დაბალია მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

განსაკუთრებით დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე რუსულ ენაში: IV კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი ლ. დავითაშვილი) ვერ ფლობენ პროგრამულ მასალას, ცუდად კითხულობენ და დაფიდან უშეცდომოდ ვერ იწერენ სამი-ოთხი სიტყვისაგან შედგენილ წინადადებებსაც კი.

მასწავლებელი ლ. დავითაშვილი თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტია. იგი სათანადოდ ვერ არის დაუფლებული რუსული ენის სწავლების მეთოდიკას. საჭირო ყურადღებას არ აქცევს სალექსიკონო მუშაობას, ცოტას მუშაობს მოსწავლეთა წერითი კულტურის ამაღლებისათვის. საკონტროლო წერის რვეულებში უყურადღებოდაა დატოვებული მრავალი შეცდომა, ხოლო მოსწავლეთა ნაწერები ლიბერალურადაა შეფასებული. უკეთესი მომზადება გამოამჟღავნეს მეხუთეკლასელებმა, სადაც საგანს იგივე მასწავლებელი ასწავლის, მაგრამ აქაც დიდი მუშაობაა საჭირო, რათა მოსწავლეთა ცოდნა რუსულ ენაში საპროგრამო მოთხოვნათა შესატყვისი გახდეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაკმაყოფილებლად მუშაობს VIII და IX კლასებში მასწავლებელი მ. კისელოვა, იგი კარგად ფლობს ენასა და მისი სწავლების მეთოდებს, მაგრამ ამ კლასების მოსწავლეთა ცოდნაშიც სერიოზული ხარვეზები შეიმჩნევა, რაც მნიშვნელოვნად გაპირობებულია წინა კლასებში დაშვებული შეცდომებით:

მოსწავლეთა წერის მეტად დაბალ კულტურაზე მეტყველებს X კლასში ჩატარებული საკონტროლო წერა-კარნახი (მასწავლებელი ფ. სოფრომაძე, შემცვლელი მასწავლებელი მ. კისელოვა): 36 მოსწავლიდან ორმა მოსწავლემ მიიღო ნიშანი „4", 3-მა „3", ხოლო 31-მა მოსწავლემ—„2".

სკოლაში არ არის შექმნილი რუსული ენის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანება, საქალაქო მეთოდგაერთიანება კი, როგორც ჩანს, სათანადო დახმარებას ვერ უწევს სკოლა-ინტერნატის რუსული ენის მასწავლებლებს.

ახალი მასალის გადაცემისას ისტორიის მასწავლებლები კმაყოფილდებიან მხოლოდ სახელმძღვანელოებში მოცემული ფაქტიური მასალის მოკლე შინაარსის თხრობით, ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების გასაცნობიერებლად მასწავლებლები ვერ იმარჯვებენ სხვა სასწავლო დისციპლინების პროგრამულ მასალას, მხატვრულ ნაწარმოებებს, ისტორიულ დოკუმენტებს, დიაფილმებს და სხვა თვალსაჩინოებას, ამიტომ აღსაზრდელებს, ხშირად, დასასწავლად მეთოდურად დაუმუშავებელ მასალას აწვდიან, სწორედ ამის გამო, არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს ისტორიაში VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ნ. ოკრიბელაშვილი). მათ ვერ შეძლეს აეხსნათ ბატონყმური წყობილების რღვევისა და ცარიზმის ბატონობის პერიოდში, საზოგადოებრივი განვითარების პროცესში რა როლს ეკისრებოდა რუსეთის მოწინავე მეცნიერებას, მწერლობასა და ხელოვნებას. მოსწავლეები ვერ ერკვევიან ყირიმის ომის მიზეზებსა და ხასიათში, წარმოდგენა არ აქვთ რუსეთის რევოლიუციურ მოძრაობაში გერცენის მოღვაწეობის როლსა და მნიშვნელობაზე. უინტერესოდ, ყოველგვარი დამხმარე ლიტერატურის გარეშე ახსნა მასწავლებელმა ნ. ოკრიბელაშვილმა ახალი გაკვეთილი—„ლიტერატურა XIX საუკუნის პირველ ნახევარში". მან ვერ მოახერხა გრიბოედოვის, გოგოლის, ლერმონტოვის, პუშკინის მიერ შექმნილი მხატვრული სახეების — ფამუსოვების, სკალოზუბების, ლიაპკინ-ტიაპკინების, ხლესტაკოვების დახმარებით გამოკვეთილად ეჩვენებინა მოსწავლეთათვის იმდროინდელი ბატონყმური რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო აპარატისა და თავადაზნაურთა კლასის წარმომადგენელთა შინაგანი გახრწნისა და ზნეობრივი გადაგვარების მასშტაბები.
დამაკმაყოფილებლად ფლობს საგანს ისტორიის ახალგაზრდა მასწავლებელი ნ. კვარაცხელია, მაგრამ სწავლების პროცესში ის ჯერ კიდევ უყურადღებობას იჩენს თვალსაჩინოებისადმი, არ იყენებს სწავლების ტექნიკურ საშუალებებს. ამასთან ერთად, მას საფუძვლიანი მეთოდური დახელოვნება ესაჭიროება.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას მათემატიკის სწავლება; მოსწავლეთა უმრავლესობა გავლილი მასალის უცოდინარობას ამჟღავნებს (მასწავლებლები: ქ. თევზაძე, ა. მოსეშვილი, ნ. მერკვილაძე). VI კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი ქ. თევზაძე) მთელი უარყოფით და წილად რიცხვებზე მოქმედებისას უშვებენ უხეშ შეცდომებს. VIII კლასის მოსწავლეები ვერ ფლობენ მთელი რიცხვებიდან ფესვის ამოღებას, ვერ ხსნიან ერთუცნობიან განტოლებასა და ამოცანებს სამკუთხედის ფართობის გამოანგარიშებაზე.

IX კლასის მოსწავლეები სუსტად ერკვევიან ტრიგონომეტრიულ ფუნქციებში და ვერ ახერხებენ მათემატიკური ცხრილების ხმარებას. X კლასებში (მასწავლებელი ნ.მერკვილაძე) ჩატარებულ საკონტროლო წერებში მაგალითები და ამოცანები ამოღებულ იქნა მოსწავლეთა საკონტროლო წერის რვეულებიდან. მიუხედავად ამისა, 9 მოსწავლიდან 37-მა მიიღო „2“, ხოლო ნიშანი „1“ 25-მა (პირობის გარდა არაფერი დაუწერიათ). VIII კლასში (მასწავლებელი თევზაძე) მოსწავლეთა ცოდნის წერითი შემოწმებისას 29 მოსწავლიდან ყველამ არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა. მაშინ, როდესაც მოსწავლეებს საკონტროლო წერისათვის მიეცათ მათ მიერ სკოლაში ერთხელ უკვე გამოყვანილი მაგალითები და ამოცანები. ასეთივე არადამაკმაყოფილებელი შედეგები გამოვლინდა კლასში (მასწავლებელი ა. მოსეშვილი) ჩატარებული წერის შედეგად, სადაც 40 მოსწავლიდან ნიშანი „5“ დაიმსახურა ერთმა მოსწავლემ, „4“-სამმა. „3“—10-მა, „2“—20-მა, „1“—6-მა მოსწავლემ.

ზემოაღნიშნული მაგალითები მიუთითებენ იმაზე, რომ სკოლაში საკონტროლო წერები მათემატიკაში სათანადო მოთხოვნილებით არ ტარდება, საკონტროლო ამოცანები და მაგალითები მარტივია. მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა ნამუშევრებში დაშვებულია უხეში შეცდომები, რომელთა უმრავლესობა მასწავლებელთა მიერ უყურადღებოდ არის დატოვებული, ნიშნები კი ლიბერა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლურად არის გამოყვანილი. მაგალითად, XI კლასის მოსწავლეების ლ. დე-ძეს (17.X), ა. კე-ძეს (25.X), ლ. მუ-შძილს (20.X) საკონტროლო ნაშრომები არადამაკმაყოფილებელ ნიშნებს იმსახურებენ, მასწავლებელს კი მათი ნაშრომი „3“-ზე შეუფასებია.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მოსწავლეთა საშინაო-საკლასო წერის რვეულებში, მათში დაშვებულია უხეში ხასიათის შეცდომები.

შედარებით დამაკმაყოფილებლად მუშაობს მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება. წაკითხული თემები აქტუალურია.

პროგრამული მასალის უცოდინარობას ამჟღავნებენ ფიზიკაში VIII და IX კლასის მოსწავლეები (მასწ. ც. წულაია და გ. ლომიძე), ისინი ვერ ერკვევიან ძირითად კინეტიკურ ცნებებში, ვერ ახერხებენ ძალთა შეკრებას, ფიზიკურ სიდიდეთა შორის დამოკიდებულობის გრაფიკულად გამოსახვას. სუსტად იციან გაზის კანონები, ელექტროდენის ქიმიური მოქმედება და სხვა. ძირითადი კანონების სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ X კლასის მოსწავლეებიც.

ძალზე დაბალ დონეზე დგას ქიმიის სწავლება VII, IX და X კლასებში. მასწავლებელი ნ. რაზმაძე სუსტად ფლობს საგანსა და მისი სწავლების ხერხებს, ცდების ჩატარებისას უხეშად არღვევს უსაფრთხოების წესებს. მან ვერ შეძლო VII კლასში ეჩვენებინა სპილენძის ჟანგისა და გოგირდმჟავას ურთიერთმოქმედებით სპილენძის სულფატის მიღება. ცდისათვის, ნაცვლად განზავებული გოგირდმჟავისა, კონცენტრირებული ხსნარი გამოიყენა, მყარი ნაშთის მისაღებად რეაქციის პროდუქციის აორთქლებისას წარმოქმნა გოგირდმჟავას ანჰიდრიდის ბოლი, ოთახი აივსო მომწამლავი ნივთიერებით და შეუძლებელი გახდა ცდის გაგრძელება. მოსწავლეებს ლაბორატორიულ მაგიდებზე არ ჰქონდათ ცდისათვის საჭირო აღჭურვილობა და აზბესტიან ბადეზე დადგმულ ქიმიურ ჭიქას ცდისათვის გამზადებული ხსნარით ხელით იჭერდნენ ანთებულ სპირტქურაზე. VII კლასის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ მოახერხა ვალენტოვნების მიხედვით ჟანგეულთა ფორმულების დაწერა. IX კლასის მოსწავლეებმა ძალზედ სუსტად იციან ჰალოგენები, ვერ ერკვევიან ქლორის თვისებებში, X კლასის მოსწავლეებს კი წარმოდგენა არ აქვთ ჭიანჭველას ალდეჰიდის თვისებებზე, დასახელებული კლასის მოსწავლეთა 80—90% ვერ ხსნის უმარტივეს ამოცანებსაც კი. ამავე კლასში ჩატარებულ საკონტროლო წერაში 14

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსწავლიდან 12-მა არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო. სერიოზული ხარვეზები გააჩნიათ მუშაობაში აგრეთვე მასწავლებლებს ც. ფანცულაიას და ნ. აღდგომელაშვილს.

ქიმიის გაძლიერებულ კურსს სკოლა-ინტერნატში ასწავლის გ. თალაკვაძე—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის დოცენტი. მასწავლებელი საფუძვლიანად ფლობს საგანს, ამასთან, ამ კურსის მაღალ დონეზე სწავლებისათვის სკოლაში სათანადო მატერიალური პირობებია შექმნილი; ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორიები კარგად არის აღჭურვილი ხელსაწყო-იარაღებითა და რეაქტივებით, მაგრამ მოსწავლეთა ცოდნაში შემჩნეული ხარვეზები ძირითადად გაპირობებულია დაბალ კლასებში ქიმიაში შეძენილი თეორიული ცოდნის არამტკიცე საფუძვლით.

არაორგანიზებულად ჩატარდა დილის გამამხნევებელი ვარჯიში (მასწ. გ. ასტვაცატუროვი), ვარჯიშზე მოსწავლეთა 50%-იც კი არ გამოცხადდა, ამასთან ერთად, მათმა ნაწილმა თვითნებურად დატოვა ვარჯიში. ფიზკულტურის გაკვეთილებს მოსწავლეთა ერთი ნაწილი სპორტული ფორმის გარეშე ესწრებოდა, კეთილმოწყობას საჭიროებს სპორტული მოედნები.

სააღმზრდელო მუშაობაში მნიშვნელოვანი ხარვეზები შეინიშნება, არ იგრძნობა საქმიანი კონტაქტები კლასის ხელმძღვანელებსა და აღმზრდელებს შორის, აღმზრდელები: ნ. ვარდოსანიძე, ლ. სულუხია, ვ. კალანდაძე, ლ. ოსიტაშვილი არ სწავლობენ აღსაზრდელთა ინდივიდუალურ თვისებებს, ვერ უწევენ მათ საჭირო დახმარებას საშინაო დავალების მომზადებისას, არ აწარმოებენ მიმდინარე აკადემიური წარმატების აღრიცხვას, არ ზრუნავენ მოსწავლეთა შევნებული ცოდნისათვის, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, 3098 შეფასებული აღსაზრდელიდან არცერთი არ არის ხუთოსანი, ოთხოსანია მხოლოდ—34..

დიდია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი საათების რაოდენობა, VI კლასში შემოწმების მომენტისათვის გაცდენილი იყო 604 საათი, V კლასში—329, IX კლასში—613 და ა. შ.

საგნობრივი წრეების უმრავლესობაში წაკითხული მოხსენებები ძირითადად თეორიული ხასიათისაა და ხელს ვერ უწყობენ მოსწავლეებში თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ხასიათი ნათლად მიუთითებს სკოლა-ინტერნატის დირექციის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებზე. სკოლის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ვერ უწევენ მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნების, პროგრამებით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების განუხრელად შესრულების, საკონტროლო წერების სახეებისა და ნორმების დაცვის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვის საქმეს.

სათანადოდ არ არის აღჭურვილი სკოლა-ინტერნატის ფიზიკისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიები საჭირო ხელსაწყოიარაღებითა და სასწავლო მოწყობილობით, რის გამო შეუძლებელი ხდება პროგრამებით გათვალისწინებული ფრონტალური ლაბორატორიული სამუშაოებისა და სადემონსტრაციო ცდების დიდი ნაწილის ჩატარება. ისტორიის, გეოგრაფიის, ქართული, რუსული და უცხოური ენების სწავლებისათვის საკმაო რაოდენობით არ გააჩნიათ თვალსაჩინო მასალები, სწავლების პროცესში ნაკლებადაა გამოყენებული სწავლების ტექნიკური საშუალებანი.

შემოწმებით დადგინდა, რომ ქალაქ რუსთავის განათლების განყოფილება ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სკოლა-ინტერნატის სათანადო გამოცდილების მქონე პედაგოგებითა და აღმზრდელებით დაკომპლექტების საქმეს,

სკოლა-ინტერნატის მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

ვბრძანებ:

1. განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ა. შარვაშიძეს:

ა) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა სკოლა-ინტერნატის დირექციასა და პედაგოგიურ კოლექტივზე და მათი საქმიანობა წარმართოს სკოლა-ინტერნატის წინაშე მდგარი ამოცანების განსახორციელებლად;

ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებსა და აღმზრდელებზე დააწესოს კონტროლი, ჩააბას ისინი დახელოვნების კურსების მუშაობაში და თუ ამას შემდეგაც ეს მასწავლებლები და აღმზრდელები ვერ გარდაქმნიან მუშაობას, დააყენოს საკითხი, სათანადო წესის დაცვით, მათი ჩამოქვეითების, ამ სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღოს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლა-ინტერნატის მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელთა კადრებით დასაკომპლექტებლად;

2. სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ამხ. ვ. პაიჭაძემ:

ა) გაატაროს ღონისძიებანი სასწავლო კაბინეტების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით შევსებისა და სპორტული მოედნების კეთილმოწყობისათვის;

ბ) გააძლიეროს კონტროლი და დახმარება ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებსა და აღმზრდელებზე;

გ) აღნიშნული ბრძანება განიხილოს სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. აღინიშნოს სკოლა-ინტერნატის დირექტორის ამხ. ვ. პაიჭაძის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და მომთხოვნელობა მასწავლებლებისა და აღმზრდელების მიმართ.

4. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ლ. პავლოვას მიეთითოს.

5. საგნის სუსტად სწავლებისა და მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ნ. ბარათაშვილსა და ლ. ინჯგიას, რუსული ენის მასწავლებელ ლ. დავითაშვილს, ისტორიის მასწავლებელ ნ. ოკრიბელაშვილს, მათემატიკის მასწავლებელ ქ. თევზაძეს, ქიმიის მასწავლებელ ნ. რაზმაძეს გამოეცხადოთ საყვედური.

6. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის ფიზიკის მასწავლებლებს: გ. ლომიძეს და ც. წულაძეს, მათემატიკის მასწავლებლებს: ა. მოსაშვილს, ნ. მერკვილაძეს, აღმზრდელებს: ნ. ვარდოსანიძეს, ლ. სულუხიას, ვ. კალანდაძეს, ლ. ოსტიაშვილს მიეთითოთ.

7. ეთხოვოს რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, სკოლა-ინტერნატის კუთვნილი მასწავლებელთა საცხოვრებელი შენობა უმოკლეს ვადაში გამოათავისუფლოს კერძო მაცხოვრებლებისაგან.

8. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებს სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამართველოს (ამხ. თ. ნიკოლაიშვილს) თვალყური ედევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 24 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ო. ლაშქარაშვილი

4

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 ივლისის ბრძანება № 475

### წალენჯიხის რაიონის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თაობაზე ანონიმური წერილი შემოწმების შედეგების შესახებ

ანონიმური წერილის შემოწმებით, რომელიც ეხებოდა წალენჯიხის საღამოს სკოლების მუშაობას, გამოირკვა, რომ განათლების განყოფილებისა (გამგე ვ. ბელქანია) და რაიონული მეთოდკაბინეტის (გამგე ვ. ქვანია) საღამოს სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული.

მეთოდკაბინეტს არ გააჩნია საღამოს სკოლების სასწავლო გეგმები, პროგრამები, მეთოდური მითითებანი, აღნიშნულ დოკუმენტებს და მასში მოცემულ მეთოდურ მითითებებს მეთოდკაბინეტის თანამშრომლები არ იცნობენ. არ არის შექმნილი საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლების მასწავლებელთა სარაიონო საგნობრივი მეთოდკომისიები.

საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლებში 1972—1973 სასწავლო წლის დამთავრებისა და საგაზაფხულო გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში შეინიშნება მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი: ჯვარის საღამოს საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ხარჩილავა) შემოწმების დროს—8 ივნისს არ აღმოჩნდა განათლების განყოფილების მიერ დამტკიცებული საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი საგამოცდო კომისიის შემადგენლობის სახელობითი სია. უზუსტობანი იყო დაშვებული გამოცდების ცხრილში. მაგალითად, საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს ვ. ხარჩილავას 9 ივნისს გამოცდა VIII კლასში ჰქონდა ქართულ ენაში, ამავე დროს უნდა დასწრებოდა

ზეპირ გამოცდას XI კლასში გეომეტრიაში. ამავე დღეს გამოსაშვები გამოცდების კომისიის თავმჯდომარე ჟ. სალია ზეპირ გამოცდას უნდა დასწრებოდა VII კლასში ქართულ ენაში და გეომეტრიაში—IX კლასში.

VIII კლასში გამოცდებზე დაშვებული 10 მოსწავლიდან მშობლიურ ენაში წერით გამოცდებზე მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა მოსწავლემ (მასწავლებელი ვ. ხარჩილავა), ხოლო XI კლასში გეომეტრიაში ზეპირ გამოცდებზე დაშვებული 20 მოსწავლიდან მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 11 მოსწავლემ, რომლებმაც საგნის ცოდნა გამოამჟღავნეს (მასწავლებელი გ. კვარაცხელია).

XI კლასში მშობლიურ ლიტერატურაში მიმდინარე წლის 30 მაისს შესრულებული 16 საგამოცდო წერითი ნამუშევრიდან 8 ივნისისათვის გასწორებული იყო მხოლოდ 10, რაც საგნის მასწავლებლის, იგივე სკოლის დირექტორის ვ. ხირჩილავას მიერ საგამოცდო ინსტრუქციის უხეში დარღვევაა.

ქიმია-გეოგრაფიის მასწავლებელმა ჟ. სალიამ, თვალის ახვევის მიზნით, გამოცდების ჩატარების გარეშე გააფორმა X კლასში ქიმიასა და გეოგრაფიაში „ჩატარებული“ გამოცდების ფიქტიური ოქმები, რომლითაც ჩანს, რომ X კლასში ორ საგანში ქიმიასა და გეოგრაფიაში 4 ივნისს ჩატარდა გამოცდა: ოქმის მიხედვით გამოცდებზე დაშვებული X კლასის 18 მოსწავლე, ფაქტიურად ვითომ გამოცხადდა 20 მოსწავლე.

შემოწმების დღისათვის არ იყო გაფორმებული ადრე ჩატარებული ზეპირი და წერითი გამოცდების ოქმები.

სოფ. ჯგალის და სოფ. საჩინოს საღამოს საშუალო სკოლებში არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს „მითითებანი საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ“. ჯგალის საღამოს სკოლის VIII კლასის მოსწავლე გ. ფიფია და XI კლასის მოსწავლე ვ. კვარაცხელია განათლების დამადასტურებელი ცნობისა და სათანადოდ გაფორმების გარეშე შეტანილი არიან საკლასო ჟურნალებში, ხოლო 23 თებერვალს XI კლასის მოსწავლეები რ. ფიფია და ო. ჩიქოვანი ამოღებული არიან საკლასო ჟურნალიდან სათანადოდ მიზეზის, განათლების განყოფილების თანხმობისა და ყოველგვარი გაფორმების გარეშე.

სოფ. საჩინოს საღამოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორმა მ. შელიამ, მის მიერ შედგენილი განათლების დამადასტურებელი ცნობების საფუძველზე, რვაკლასდამთავრებული ლ. ი. ფიფია მიმდინარე წლის იანვარში და ცხრაკლასდამთავრებული ვ. კვირკველია—აპრილში ყოველგვარი ნებართვის გარეშე ჩარიცხა IX კლასში, ხოლო XI კლასის მოსწავლე ე. მიქავა განათლების განყოფილების თანხმობის გარეშე ამოიღო XI კლასის ჟურნალიდან.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. გ. ბელქანია):

ა) მიიღოს გადამჭრელი ზომები საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით, პირადად დაინტერესდეს მათი საქმიანობით, გამოავლინოს სკოლების მუშაობაში არსებული უარყოფითი მხარეები და დასახოს გზები მათ აღმოსაფხვრელად.

ბ) გარდაქმნას რაიონის მეთოდკაბინეტის (გამგე ვ. ქვანია) მუშაობა საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმეში, რისთვისაც მტკიცე მეთვალყურეობა განახორციელოს მეთოდკაბინეტის მუშაობაზე, პერიოდულად მოითხოვოს ანგარიში მეთოდკაბინეტისაგან ამ ტიპის სკოლების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

გ) ახალ 1973—1974 სასწავლო წლის დასაწყისიდან შექმნას სარაიონო მეთოდგაერთიანებანი საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცალკეული საგნების მასწავლებელთათვის და სკოლის დირექტორებისათვის;

დ) მიიღოს ზომები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან მიღებული სახელმძღვანელო მასალების საღამოს სკოლებისათვის დროულად დასაგზავნად და მათში მოცემულ მითითებათა შესასრულებლად;

ე) სოფ. ჯვარის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი ვალერიან ალექსანდრეს ძე ხარჩილავა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის, საგაზაფხულო გამოცდების პერიოდში საგამოცდო ინსტრუქციისა და მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის, ახალ 1973—

ეროვნული ბიბლიოთეკა

1974 სასწავლო წლიდან გაათავისუფლოს, როგორც შეუფერებელი დაკავებული თანამდებობისათვის;

გ) მკაცრი სასჯელი დაადოს სოფ. საჩინოს საღამოს საშუალო სკოლის დირექტორს მიხეილ პლატონის ძე შელიას საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ მითითებათა უხეში და დანაშაულებრივი ხასიათის დარღვევისათვის და ჯვალის საღამოს საშუალო სკოლის ქიმიისა და გეოგრაფიის მასწავლებელს ჟუჟუნა სალიას თვალხს ახვევის მიზნით საგაზაფხულო გამოცდების დროს გამოცდების ფიქტიური ოქმების გაფორმებისათვის.

2. ამ ბრძანების შესრულების შესახებ სამინისტროს მოახსენოს 1973 წლის 15 სექტემბრამდე.

3. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩილაძე) ზედამხედველობა და კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 28 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1978 წლის 6 ივლისის ბრძანება № 478

### ყაზბეგის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ყაზბეგის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებს, პედაგოგიურ კოლექტივებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული სწავლების შინაარსის სრულყოფისა და სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით.

ამასთან, ყაზბეგის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას (გამგე ამხ. გ. კურკუმული) გარკვეული ნაკლოვანებები გააჩნია მუშაობაში. იგი ვერ იჩენს მკაცრ მომთხოვნელობასა და თანმიმდევრობას სკოლების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაშიც, კერძოდ, აღმზრდელობით დარგში.

ყაზბეგის რაიონის სკოლებისა და განათლების განყოფილების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ყაზბეგის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. გ. კურკუმული):

ა) განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და არსებითად გააუმჯობესოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე ზედამხედველო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა; მიაღწიოს სკოლებისაგან სახალხო განათლების განყოფილების მიერ დასახულ ღონისძიებათა უთუო და დროულ შესრულებას;

ბ) სისტემატურად შეისწავლოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, განსაკუთრებით ახალი პროგრამებია და სახელმძღვანელოებით სწავლების მდგომარეობა; შემოწმების შედეგები განიხილოს განათლების საბჭოს სხდომაზე და დასკვნები დაიყვანოს ყველა სკოლამდე, მასწავლებლამდე;

გ) მტკიცე შრომითი დისციპლინა დაამყაროს მასწავლებელთა შორის. გაზარდოს მათი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნისადმი; შექმნას მოუთმენლობის ატმოსფერო იმ მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, მიაღწიოს იმას, რომ თითოეული მასწავლებელი სისტემატურად მუშაობდეს თავის თავზე, იმაღლებდეს იდეურ-პოლიტიკურ დონესა და მეთოდურ ოსტატობას;

დ) გაატაროს ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემოქმედებითად დაგეგმვისათვის, არ დაუშვას სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შეუსრულებლობის არცერთი შემთხვევა. ამ მიზნით მკვეთრად გააუმჯობესოს შიდასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის მეთოდები, მიაღწიოს იმას, რომ სკოლის დირექტორები, მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და ორგანიზატორები მტკიცე მომთხოვნელობას იჩენდნენ მასწავლებლების მიმართ, მოითხოვდნენ მათგან მოვალეობის პირნათლად და გულდასმით შესრულებას, არ ურიგდებოდნენ ნაკლოვანებებს;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რაიონის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობებით დაკომპლექტებას სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდების, ლაბორატორიული სამუშაოებისა და პრაქტიკუმების სრულყოფილად ჩატარება. იზრუნოს სკოლებში არსებული ხელსაწყო-იარაღების, სასწავლო მოწყობილობებისა და დგამ-ავეჯის მოვლა-პატრონობისათვის;

ვ) დასახოს ღონისძიებანი რაიონის სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განუხრელად გატა-

რებისათვის, დაუყოვნებლივ ჩააბას სწავლებაში სასკოლო ასაკის ყველა მოზარდი და უზრუნველყოს მიმდინარე ხუთწლედში საყოველთაო საშუალო სწავლებაზე ახალგაზრდობის გადაყვანის დასრულება;

ზ) აღკვეთოს სკოლაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე საგნის სუსტადმცოდნე მასწავლებელთა დაწინაურება;

ი) რაიონის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს რაიონის მეთოდური კაბინეტის მუშაობა. აღმოფხვრას საგნობრივი მეთოდგაერთიანებების მუშაობაში ფორმალიზმი და მიაღწიოს იმას, რომ სკოლაში ჩატარებული ყველა მეთოდური ხასიათის ღონისძიება ნამდვილად პასუხობდეს ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის პირობებში მასწავლებელთა თეორიული ცოდნის დონისა და მეთოდური დახელოვნების ამოცანებს;

კ) აღნიშნული ბრძანება და სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათი განიხილოს რაიონის სახალხო განათლების საბჭოსა და ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, ამასთან, მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა მიმართ გაატაროს სათანადო ზომები.

**2.** მიღებულ იქნეს ცნობად, რომ განათლების სამინისტროს ბრიგადის მიერ გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის ყაზბეგის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მიერ გათავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან ახალციხის 8 წლიანი სკოლის დირექტორი რ. ძაკაევა და სიონის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ე. თინიკაშვილი.

**3.** აღინიშნოს ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილების სკოლებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და კონტროლი.

**4.** მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) დახელოვნების კურსებზე ყაზბეგის რაიონის სკოლების მასწავლებელთა მოწვევა გაითვალისწინოს მხოლოდ ზაფხულის არდადეგების პერიოდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სკოლებისა და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოებმა (ამხ. ამხ. რ. კანდელაკმა, თ. ნიკოლაიშვილმა) ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შეისწავლონ ყაზბეგის საშუალო სკოლისა და სკოლა-ინტერნატის გაერთიანებისა და საბავშვო სახლად მისი გადაკეთების საკითხი და წინადადება შემოიტანონ კოლეგიაზე განსახილველად.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) ზედამხედველობა დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 28 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

# მოხსენებითი ბარათი

## ყაზბეგის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შესახებ

ბრიგადამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების ლ. მნათობიშვილის (ხელმძღვანელი), დ. მახარაძის, ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტების ა. აბაშიძის, გ. ჩუბინიძის, ი. ბერუაშვილისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტის კ. ხიდაშელის შემადგენლობით 1973 წლის 10-დან 15 მაისამდე შეისწავლა ყაზბეგის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობა.

შემოწმებით დადგინდა, რომ ყაზბეგის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება დაკომპლექტებულია სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე მუშაკებით. სახალხო განათლების განყოფილების გამგე გ. კურკუმული მათემატიკოსი, ინსპექტორი შ. ჩქარეული—ისტორიკოსი, ინსპექტორი ლ. მარსაგიშვილი-ფილოლოგი (რუსული ენა და ლიტერატურა), მეთოდური კაბინეტის გამგე გ. ჩოფიკაშვილი—ფიზიკოსი, ხოლო მეთოდისტი ე. კობიაშვილი—მათემატიკოსია.

რაიონის სახალხო განათლების განყოფილება პერიოდულად ამოწმებს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. 1973 წლის იანვრიდან შემოწმებულია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ყველა საშუალო, 3 რვაწლიან და 5 დაწყებით სკოლაში, სკოლა-ინტერნატში; დაწყებითი სამხედრო მომზადება 3 საშუალო სკოლაში, საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონის განხორციელების მდგომარეობა-ყველა საშუალო და რვაწლიან სკოლაში. მთელი რიგი საკითხები განხილულია აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე.

ინსპექტორთა მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათებში საფუძვლიანად არის გაანალიზებული სკოლების მუშაობის ესა თუ ის მხარე. როგორც წესი, შემოწმების შედეგები განიხილება განათლების საბჭოს სხდომებზე და მიღებულ დადგენილებებში სწორი ღონისძიებებია დასახული გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების განყოფილება ჯერ კიდევ მკაცრ მომთხოვნელობასა და თანმიმდევრობას ვერ იჩენს სკოლების მუშაობაში შენიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ამიტომ სკოლების მუშაობაში შეინიშნება ის ხარვეზები, რომელთა გამოსასწორებლად განათლების განყოფილების მიერ თავის დროზე სათანადო ღონისძიებები იყო დასახული.

განათლების განყოფილების სამუშაო გეგმაში შეტანილი არ არის ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით სკოლებისადმი კონტროლისა და დახმარების ორგანიზაციის, მეთოდური მუშაობის, ფაკულტატიური სწავლების, თვალსაჩინოებისა და სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენების მეტად აქტუალური საკითხები.

ყაზბეგის რაიონის 3 საშუალო, 5 რვაწლიან და 10 დაწყებით სკოლასა და სკოლა-ინტერნატში მუშაობს 131 მასწავლებელი: მათგან უმაღლესი განათლება მიღებული აქვს 83 მასწავლებელს (29-ს დაუსწრებლად), 17-ს დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, ხოლო 31-ს საშუალო სპეციალური და საშუალო განათლება.

1972 წლის 1 სექტემბრისათვის რაიონის სკოლებში სახალხო—სამეურნეო გეგმის მიხედვით უნდა ყოფილიყო 1170 მოსწავლე, ფაქტიურად აღმოჩნდა 1087 ე. ი. გეგმის შესრულებას დააკლდა 83 მოსწავლე ანუ 7,1%.

I მეოთხედის შედეგების მიხედვით რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწრება შეადგენდა 77%-ს, II მეოთხედში—85,2%-ს, III მეოთხედში 86,9%. მიუხედავად იმისა, რომ III მეოთხედისათვის აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რიცხვი (151) I მეოთხედთან შედარებით (250) ნაკლებია, რაიონის განათლების

განყოფილებას ენერგიული ზომების გატარება სჭირდება, რათა აღმოფხვრას მეორეწლიანობის საშიშროება.

შემოწმების დროს სათანადო ყურადღება დაეთმო საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობას. აღმოჩნდა, რომ შესწავლილ სკოლებში კარგად არ არის მოგვარებული მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა. სკოლიდან გასულ ყველა მოსწავლეზე არ არსებობს დამადასტურებელი საბუთი.

რაიონის სკოლებიდან 1972 წლის 5 სექტემბრის შემდეგ სხვა სკოლებში გადავიდა 85 მოსწავლე: მათგან ქ. ორჯონიკიძის საშუალო და ჩმის 8 წლიან სკოლებში—26, გადასვლის დამადასტურებელი საბუთი ჰქონდათ მხოლოდ 7 მოსწავლეზე; ყაზბეგის რაიონში დარჩა 34 მოსწავლე—საბუთი გააჩნდათ მხოლოდ 9 მოსწავლეზე. ჩვენი მითხოვნით, უკვე შემოწმების ბოლოსათვის მოსწავლეთა მოძრაობის ყველა საბუთი გააჩნდათ სკოლებს.

თანდათან მტკიცდება რაიონის სკოლების მატერიალური ბაზა. ბოლო სამი წლის მანძილზე მიშენება გაუკეთდა სნოს საშუალო სკოლას (8 საკლასო ოთახი; პიონერთა ოთახი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი), გორისციხის 8 წლიან სკოლას (6 საკლასო ოთახი). მაგრამ დღეისათვის რაიონის სკოლების მეტი წილი შეგუებულ შენობაშია მოთავსებული. (ყაზბეგის საშუალო, არშისა და ახალციხის 8 წლიანი სკოლები). ყაზბეგის საშუალო სკოლის შენობა შარაგზაზეა მოთავსებული, ეზოს შემოღობვა არ ხერხდება და ამიტომ სკოლის წინ დადის საქონელიც და მანქანაც.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს რაიონული მეთოდკაბინეტი (გამგე გ. ჩოფიკაშვილი). სამუშაო გეგმა შედგენილია მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული თემატიკის მიხედვით. ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით, სათანადო ყურადღება ექცევა მასწავლებლებთან მეთოდურ მუშაობას, მაგრამ იგი ქმედით დახმარებას ვერ უწევს დაწყებითი კლასების მასწავლებლებს. არასრულყოფილად არის შედგენილი მეთოდგაერთიანების გეგმა. გეგმაში შეტანილია მხოლოდ მათემატიკის სწავლების საკითხები, რომელთაც მინიშნებული არა აქვთ შესრულების დრო. გაფორმებული არ არის ოქმები. მეთოდკაბინეტი ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევს სკოლებში მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდგაერთიანების მუშაობას, რომლის დონე სასურველზე დაბალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შემოწმებულ სკოლებში ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლება შემდეგ სურათს იძლევა:**

დაწყებითი კლასების 29 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლება აქვს 7 მასწავლებელს, საშუალო სპეციალური—7, საშუალო—13, დაუმთავრებელი უმაღლესი—2. ყველა მათგანს, ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით, გავლილი აქვს დახელოვნების კურსები.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ყაზბეგის საშ. სკოლის მასწავლებლები ღ. ხუციშვილი და ნ. გუჯარაიძე. ისინი გარკვეულ ადგილს უთმობენ სწავლებაში აქტიურ ხერხებსა და მეთოდებს, ახალი მასალის ახსნისა და განმტკიცებისას მოხერხებულად იყენებენ თვალსაჩინოებასა და ტექნიკურ საშუალებებს (ფილმოსკოპს, ეპიდიასკოპს, მაგნიტოფონს). მათ გაკვეთილებზე, როცა კი ეს შესაძლებელია, წინა პლანზე იწევს აღზრდის ამოცანა, კარგად ერკვევიან მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებში.

ნაკლოვანებებით ხასიათდება მასწავლებლების: ვ. ბაზალისა და რ. ხულელიძის (სიონის საშ. სკოლა), ქ. ბურდულისა და თ. ღუდუშაურის (ყაზბეგის საშ. სკოლა), ქ. იმერლიშვილისა და ნ. ქუშაშვილის (გორისციხის 8 წლიანი სკოლა) მუშაობა.

აღნიშნული მასწავლებლები არ არიან დაუფლებული სწავლების ახალ მეთოდებს, უსისტემოდ აწარმოებენ პროგრამული საკითხების სწავლებას, ახალ მასალას აწვდიან თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე. მათ გაკვეთილებზე არ შეინიშნება შემოქმედებითი ძიება, ცოტა რამ კეთდება მოსწავლეთა ლექსიკის შევსების თვალსაზრისითაც, არ განმარტავენ და ზოგჯერ არასრულყოფილად უხსნიან მოსწავლეებს უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს. მაგ. მასწ. ვ. ბაზალის განმარტებით, „ცრუ“ მტყუან ადამიანს ჰქვია, ხოლო „ძაღლყურძენა“—გარეულ ბალს, მასწ. ქ. იმერლიშვილს, ახალ მასალასთან დაკავშირებით, არ განუმარტავს ისეთი სიტყვები, როგორიცაა: კაიუტა, საზენიტო ქვემეხი, ათრთოლებული და სხვა.

ერთფეროვანი გაკვეთილი ჩაატარა მოსამზადებელ კლასში მასწ. ქ. ბურდულმა: 20 წუთის განმავლობაში მოსწავლეები მხოლოდ კითხულობდნენ ტექსტს (საშინაო დავალება), შემდეგ 5 წუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თში მასწავლებელმა ახსნა ახალი მასალა და დანარჩენი 20 წუთი ისე მხოლოდ ტექსტის კითხვას მოანდომა.

საპროგრამო მასალის სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს მათემატიკაში I კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ქუშაშვილი) იგი ცუდად ერკვევა ახალი პროგრამის შინაარსში, არ ითვალისწინებს სახელმძღვანელოს აგების ახალ პრინციპს. 45 წუთის განმავლობაში ამოხსნილ იქნა 4 ერთმოქმედებიანი მაგალითი და I ორკითხვიანი ამოცანა (ამოცანის ამოხსნას დასჭირდა 25 წუთი, ხოლო მისი ბოლომდე ჩაწერა კლასმა ვერ მოასწრო).

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების მიზნით ჩატარებულ იქნა საკონტროლო წერა მათემატიკაში.

| № | სკოლა | კლასი | მოსწ. რ-ობ. | „5“ | „4“ | „3“ | „2“ | მასწავლებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყაზბეგის საშ. სკოლა | III² | 8 | — | 1 | | — | ნ. შადური |
| 2 | „ „ | III¹ | 16 | — | 3 | 9 | 4 | ნ. ფიცხელ. |
| 3 | გორისციხის 8 წლ. სკოლა | III | 15 | 2 | 1 | 8 | 2 | ქ. ჩქარეული |
| 4 | სიონის საშ. სკოლა | III | 6 | — | 1 | 2 | 3 | რ. ხულელიძე |

საკონტროლო წერების შედეგები მიუთითებს იმიზე, რომ მასწავლებლები არასაკმარის კონტროლს ახორციელებენ მოსწავლეებზე საკონტროლო წერის ჩატარების პროცესში, არ არის დაცული წერის ნორმები და სახეები, წერა ყოველთვის არ ტარდება ორ ვარიანტად, და, ამასთან, იშვიათად აძლევენ საკონტროლო სამუშაოდ ამოცანას, ისინი მხოლოდ მაგალითების ამოხსნით იფარგლებიან.

დაბალ დონეზე ისწავლება რაიონის სკოლების დაწყებით კლასებში ფიზკულტურა, შრომითი სწავლება, სახვითი ხელოვნება და სიმღერა. მასწავლებლები არ იცნობენ პროგრამულ საკითხებს. ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ საგნებს ასწავლიან პენსიონერი მასწავლებლები, მაგ. ყაზბეგის საშუალო სკოლის მასწავლებლები ქ. ბურდული და თ. ღუდუშაური, რომელთაც 32—34 წლის სტაჟი აქვთ.

საკლასო და საკონტროლო წერის რვეულების შემოწმებამ ცხადყო, რომ ძალზე დაბალია მოსწავლეთა წერის კულტურა, ერთფეროვანია წერის თემატიკა, არ არის გამოყენებული ისეთი სახეები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების უნარის გამომუშავებას.

მასწ. ქ. დავითაშვილს (სიონის საშ. სკოლა) III მეოთხედში ჩატარებული აქვს 5 წერა, ნაცვლად 11-ისა, ხოლო ვ. ბაზალი (სიონი) საკლასო რვეულებს ქართულ ენაში საერთოდ არ აწარმოებს.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა ყაზბეგის (მასწავლებლები: ლ. საბაური, ე. ავალიშვილი, ლ. გელაძე), სიონის (ნ. სამქანიშვილი), სნოს საშუალო (ი. ჩაბაიძე) და გორისციხის 8 წლიან (ლ. ხაჩიაური) სკოლებში. ისინი მოხერხებულად ახდენენ საშინაო დავალების შემოწმებას, ახალი მასალის ახსნისა თუ გამეორების პროცესში მონაწილეობს მოსწავლეთა უმრავლესობა, მაგრამ ამ მასწავლებელთა მოსწავლეების ცოდნის დონე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ასე მაგალითად, შემოწმებული სკოლების მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არ იცის რიცხვის მოდულის აზრი (IV—VII კლასმა); როგორი ჩვეულებრივი წილადის ჩაწერა შეიძლება ათწილადის სახით და რომელი არა (V კლასი), რა განსხვავებაა $(-B^2)$ და $(-B^2)$-ს შორის (სიონის სკოლა VI კლასი), განტოლების თვისებები, შემოკლებული გამრავლებისა და გაყოფის ფორმულების გამოყენება არითმეტიკული გამოთვლების დროს (VII კლასები), ამოცანის პირობის მოცემულ სიდიდეთა შორის დამოკიდებულების ანალიზური გამოსახვა (VIII—IX კლ) და სხვა.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ახალციხის V—VIII კლასის მოსწავლეებმა. მათ არ იციან მოქმედებანი წილადებზე, რაციონალურ რიცხვებზე და სხვა ელემენტარული საკითხები. კლასში კი 5—6 მოსწავლეა (შემცვლელი მასწავლებელი ი. ჩაბაიძე ამ სკოლაში ერთი კვირაა მუშაობს. (ძირითადად იგი მუშაობს სნოს საშუალო სკოლაში).

აღნიშნულ ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ მასწავლებლები ნაკლებად მუშაობენ თავიანთი ცოდნის გაღრმავებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის, ყოველდღიური სამუშაო გეგმის შედგენის დროს არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, იშვიათად და მასთან არანაყოფიერად მუშაობენ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, საკონტროლო წერით ნამუშევრებს ასწორებენ ზერელედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებს არ გააჩნიათ ტექნიკური საშუალებანი, ხოლო თვალსაჩინოება ნაკლებია და, ამასთან, მათი გამოყენებაც არ ხდება (სიონის საშ., გორისციხის 8 წლიანი სკოლები), ახალციხის 8 წლიან სკოლაში დაფაც კი არ არის დახაზული.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება რაიონის შესწავლილ სკოლებში.

მოსწავლეები ზეპირად იმახსოვრებენ ფიზიკური სიდიდეების განმარტებებს, კანონებსა და ფორმულებს, არ ესმით მათი შინაარსი—პოტენციური ენერგია, არქიმედის კანონი, პასკალის კანონი (ყაზბეგის საშ. სკოლა, VI კლასი, მასწ. მ. კობიაშვილი—დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი 1954 წელს); მოძრაობის რაოდენობის მუდმივობის კანონი, ენერგიის მუდმივობის კანონი (ყაზბეგის, მასწ. მ. კობიაშვილი, სიონის საშუალო სკოლა, VIII კლასი, მასწ. ე. თინიკაშვილი—დაამთავრა ქ. ორჯონიკიძის პედაგოგიური ინსტიტუტი 1966 წელს); ელექტრომაგნიტური ინდუქციის მოვლენა, თვითინდუქციის მოვლენა, ლენცის წესი, (IX კლასი, სიონის საშუალო სკოლა, მასწ. ე. თინიკაშვილი), დენის მაგნიტური ველი, ბურღვის წესი, დედამიწის მაგნიტური ველი (გორისციხის 8 წლიანი სკოლის VIII კლასი, მასწ. ც. ჩქარეული—დაამთავრა გორის პედ. ინსტიტუტი 1972 წელს).

მასწავლებელთა მიერ დასმული კითხვები წინასწარ არ არის მოფიქრებული, გაუმართავია, ხოლო ზოგიერთ შეკითხვაზე საერთოდ შეუძლებელია პასუხის გაცემა—„რანაირად არიან წრიული დენი და მისი მაგნიტური ველი?“ (ც. ჩქარეული); „შეიძლება თუ არა, რომ ინდუქტივობა მოახდინოს მუდმივმა დენმა?“ (ე. თინიკაშვილი). ახალი მასალის ახსნისას მასწავლებლები უშვებენ უხეშ შეცდომებს: „ინდუქტივობა პირდაპირ პროპორციულია თვითინდუქციის ელექტრო-მამოძრავებელი ძალისა“, „დენის ცვლილება აღძრავს თვითინდუქციას“ (ე. თინიკაშვილი), „დედამიწას იმიტომ აქვს მაგნიტური ველი, რომ იგი იზიდავს სხეულებს“ (ც. ჩქარეული) და სხვა.

საშინაო დავალების მიცემა ყველგან ხდება ზარის შემდეგ, ამასთან, გაურკვევლად. საკონტროლო სამუშაოების გასწორება ხდება ზერელედ.

არცერთ სკოლაში სრულად არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები. სიონის საშ. სკოლის VII კლასებში 14 ლაბორატორიული სამუშაოდან ჩატარებულია 7, ხოლო VIII, IX, X კლასებში კიდევ უფრო ნაკლები. ასეთივე მდგომარეობაა ყაზბეგის საშუალო სკოლაშიც. ფიზიკის კაბინეტები ღარიბია ხელსაწყო-იარაღებით, არსებული კი მოძველებულია. ყველა ფიზიკის კაბინეტს აქვს კინოაპარატი, ეპიდიასკოპი, ფილმოსკოპი, მაგრამ მათი გამოყენება იშვიათად ხდება. მაგ. გორისციხის 8 წლიან სკოლაში არცერთი სასწავლო ფილმი არ უჩვენებიათ. ამასთან, ამ სკოლაში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტად მიჩნეულია ერთი ოთახი, რომელიც ყველასაგან მივიწყებულ საწყობს წარმოადგენს, თუმცა სკოლაში არის ორი თავისუფალი ოთახი, მაგრამ მის გამოყენებაზე სკოლის ხელმძღვანელობას (დირექტორი ი. ჩქარეული) არც უფიქრია.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზია მასწავლებელთა გულგრილი დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობისადმი. ისინი ნაკლებად ან სულ არ მუშაობენ ცოდნის გასამდიდრებლად. უნდა აღინიშნოს, რომ მათ საამისოდ არც რჩებათ დრო, სიონის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს ე. თინიკაშვილს აქვს 16 საათი კვირეული დატვირთვა, ამასთან, არის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი; ყაზბეგის საშ. სკოლის მასწავლებელი მ. კობიაშვილი მუშაობს აგრეთვე ყაზბეგის სკოლა-ინტერნატში აღმზრდელად.

კარგად ისწავლება ქიმია სნოს საშუალო სკოლაში (მასწ. ნუნუ ხართიშვილი, დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი ბიოქიმიის სპეციალობით). მიუხედავად იმისა, რომ იგი დამწყები მასწავლებელია, მისი მოსწავლეები კარგად ფლობენ პროგრამით გათვალისწინებულ საპროგრამო მასალას. X კლასის მოსწავლეებმა იციან განსხვავება ნაჯერ და უჯერ ნახშირწყალბადებს შორის, მათი თვისებები, პოლიეთილენის მიღება და მისი გამოყენება, დიენური ნაერთების პოლიმერიზაცია, აგრეთვე ტუტეების, ფუძეებისა და ალუმინის ჰიდროჟანგის ამფოტერობა. IX კლასში მოსწავლეთა გამოკითხვითა და ფრონტალური კითხვების დასმით გაირკვა, რომ მოსწავლეებმა კარგად იციან მასალა, მასწავლებელმა ახალი მასალის ახსნისას „ფოლადის წარმოება“ გა-

ღოიყენა რამდენიმე ფრაგმენტი სასწავლო კინოფილმიდან „მარტე-ნის ღუმელი“.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია სიონისა (მასწ. თამარ ავსაჯანიშვილი — დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი 1947 წ.) და ყაზბეგის საშუალო სკოლაში (მასწ. გ. ფიცხელაური — დაამთავ რაპუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება). სიონის საშ. სკოლის X კლასელებმა იციან სპირტების მიღების ხერხები და თვისებები, ალდეჰიდების თვისებები, ვერცხლის სარკის რეაქცია, ამონიუმის მარილების მიღების ხერხები, თვისებები და მათი გამოყენება.

ყაზბეგის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა იციან რა არის ხსნარი, როგორ მიმდინარეობს გახსნა, ენდოთერმული და ეგზოთერმული რეაქციები. მოსწავლეთა უმრავლესობა ერკვევა ნაერთთა კლასებში, იცის ვალენტობის მიხედვით ქიმიური ფორმულების შედგენა და ვალენტობის განსაზღვრა ნაერთში.

აღნიშნულ სკოლებში ქიმიის კაბინეტისათვის გამოყოფილია ორ-ორი ოთახი (გარდა სნოს საშუალო სკოლისა, სადაც ერთი ოთახია და აქაც ლაბორატორია ჯებირით არის გამოყოფილი), ხოლო არშის 8 წლიან სკოლაში ერთად არის ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები.

არცერთ კაბინეტს არ აქვს ამწოვი კარადა, მოწყობილი არ არის დაბნელება. კაბინეტები ღარიბია ქიმიური რეაქტივებითა და ტექნიკური საშუალებებით. მიუხედავად ამისა, ქიმიის მასწავლებლები იყენებენ სკოლაში არსებულ ტექნიკურ საშუალებებს და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს უჩვენებენ სასწავლო კინოფილმებს. მაგ. ყაზბეგის საშ. სკოლის მოსწავლეებმა ნახეს 16 სასწავლო ფილმი ქიმიაში, ხოლო სიონისა და სნოს საშუალო სკოლის მოსწავლეებმა — ხუთ-ხუთი.

არცერთ სკოლას არ გააჩნია ჩატარებული სადემონსტრაციო ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოების აღრიცხვა.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება ისტორია ყაზბეგის საშუალო (მასწავლებელი თინათინ გუგეშაშვილი — დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1969 წელს), არშისა (ეთერ წიკლაური — დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1954 წელს) და გორისციხის (მასწ. ელვარდ ავსაჯანაშვილი — დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1969 წელს),



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლები მონდომებით მუშაობენ და აქვთ გარკვეული წარმატებანი. მასწ. თ. გუგეშაშვილის გაკვეთილები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, იგი იყენებს თვალსაჩინოებასა და ტექნიკურ საშუალებებს—კინოაპარატს, ფილმოსკოპს. ამიტომ მისი მოსწავლეები ისტორიის კარგ ცოდნას ამჟღავნებენ.

დაბალ დონეზე ისწავლება ისტორია ახალციხის 8-წლიან სკოლაში. (მასწ. ირაკლი ფიცხელაური—აქვს არასრული უმაღლესი განათლება, მასწავლებელი სუსტად ფლობს საგანსა და საგნის სწავლების მეთოდებს. სათანადოდ ვერ იყენებს დროს გაკვეთილის ცალკეული მომენტებისათვის. მან განვლილი მასალის უგეგმოდ განმეორებასა და საშინაო დავალების გამოკითვას მოანდომა გაკვეთილის მთელი დრო მაშინ, როცა კლასში ირიცხება 4 მოსწავლე, რის გამოც ახალი მასალა „აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება“ აუხსნელად მისცა კლასს.

გამოკითხული მოსწავლეები საგნის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ სკოლის VII კლასში ისტორიაში განკუთვნილი 3 საათიდან სამივე სსრ „ავშირის ისტორიისათვის დაუთმიათ სასწავლო წლის დასაწყისიდან, ხოლო სსრ კავშირის ისტორიის კურსის გავლის შემდეგ იგივე საათები დაუთმეს საქართველოს ისტორიას, რითაც დარღვეულია საგანთა შორის კავშირი და ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ამ საგნების სწავლების საკითხებში. არსებული წესის მიხედვით, სსრ კავშირის ისტორიას დათმობილი უნდა ჰქონდეს 2 საათი, ხოლო საქართველოს ისტორიას 1 საათი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

ანალოგიურ მდგომარეობას სხვა სკოლებშიც აქვს ადგილი: ყაზბეგის საშუალო სკოლის IX კლასში ისტორიისათვის განკუთვნილი 4 საათიდან ორი საათი სსრ კავშირის ისტორიას აქვს დათმობილი და 2 საათი ახალი ისტორიის II პერიოდს, სასწავლო წლის მანძილზე (სასწავლო გეგმით სასწავლო წლის 1 ნახევარში უნდა შეესწავლათ ახალი ისტორიის II პერიოდი, ხოლო შემდეგ განეგრძოთ სსრ კავშირის, საქართველოს ისტორიისა და უახლესი ისტორიის შესწავლა). სიონის საშუალო სკოლის VII—X კლასებში ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილები დაწყვილებულია. ამავე სკოლის IX კლასში საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლებს დათმობილი აქვს 2 საათი.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზია ის, რომ გაკვეთილებზე ნაკლები დრო ეთმობა განვლილი მასალის განმეორება-განმტკიცებას, არ არის სათანადოდ დაგეგმილი მთავარი საკვანძო საკითხების წინასაგამოცდო განმეორება VII-X კლასებში. მასწავლებლები ძირითადად კმაყოფილდებიან სახელმძღვანელოში არსებული მასალის გადაცემით ყოველგვარი გამდიდრებისა და გაღრმავების გარეშე, ნაკლები დრო ეთმობა გაკვეთილებზე საპროგრამო მასალის კავშირს თანამედროვეობასთან.

სკოლებში ისტორიის გაკვეთილებზე თვალსაჩინოებად ძირითადად გამოყენებულია რუკები (ისიც ხშირად უვარგისი და გაკვეთილის თემასთან შეუსაბამო), არ გააჩნიათ საქართველოს ისტორიის სწავლებისათვის მცირე ფორმატის რუკებიც კი, რის გამოც საქართველოს ისტორია თვალსაჩინოების გარეშე ისწავლება.

რაიონის ისტორიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას მცირე მუშაობა აქვს ჩატარებული. წარმოდგენილი თემების ნაწილი ვერ ამართლებს დანიშნულებას, მოხსენებებს აკლია პრაქტიკული გამოცდილების ნიმუშები, ზოგადად დაწერილი თემები კი ნაკლებეფექტურია. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე ღია გაკვეთილების ჩატარებასა და ურთიერთდასწრებას.

ყაზბეგისა (დირექტორი გ. ტუჩაშვილი—ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გ. ფიცხელაური—ქიმიკოსი) და სიონის (დირექტორი თ. ავსაჯანიშვილი—ქიმიკოსი, დირექტორის მოადგილე ე. თინიკაშვილი—ფიზიკოსი, ორგანიზატორი ნ. ჩიგოგიძე—გერმანული ენის სპეციალისტი) საშუალო სკოლების ტიპიური სამუშაო გეგმები ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი, მათში შეტანილია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მაგრამ გეგმით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები: ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენება, მეთოდური მუშაობისადმი კონტროლის დაწესება, დირექციის მიერ საკონტროლო წერების ჩატარება, აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებზე დირექციის სისტემატური კონტროლის დაწესება და სხვ. თითქმის ყველა შემოწმებულ სკოლაში შეუსრულებულია.

ახალციხის 8 წლიანი სკოლის დირექტორი რ. ძავკაევა (რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, დამთავრებული აქვს ქ. ორჯონიკიძის 2 წლიანი პედაგოგიური სასწავლებელი 1945 წელს)



ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იცნობს ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, ვერ წვდება მასწავლებელთა მუშაობას, ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს მათ. სკოლის სამუშაო გეგმაში ვკითხულობთ: „საგამოცდო ბილეთების შედგენა“—ამასთან, მიუთითებია შესრულების ვადა 20 სექტემბერი; „გამოცდების ცხრილის შედგენა და მასწავლებლებამდე დაყვანა“—23 ოქტომბერი და სხვა. სკოლაში სულ 30 მოსწავლეა და I მეოთხედში ვერ ასწრებდა 9, II მეოთხედში—6, III-ში-4 მოსწავლე.

შემოწმებულ სკოლებში არ წარმოებს მეორეწლიანებთან მუშაობა, თუმცა გაფორმებული აქვთ, რომ ჩატარდა ინდივიდუალური მეცადინეობა. ამასთან, მეორეწლიანებთან მუშაობა ესმით, როგორც დამატებითი გაკვეთილები, მაგრამ დამატებითი გაკვეთილების ჩატარების აღრიცხვის რვეულშიც ყველაფერი რიგზე არ არის. მაგ. ყაზბეგის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის გ. ფიცხელაურის მიერ წარმოდგენილ აღრიცხვის რვეულში აღნიშნულია, რომ ა/წლის 2 მარტს VIII კლასს ჩაუტარდა დამატებითი მეცადინეობა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელსაც ესწრებოდა 15 მოსწავლე 15-დან, თუმცა საკლასო ჟურნალით იმ დღეს გაკვეთილებს არ ესწრებოდა 3 მოსწავლე.

სუსტად არის დაყენებული პედაგოგიური საბჭოს მუშაობა: მეოთხედის შედეგების განხილვისას არ არის გაანალიზებული მეოთხედში ჩატარებულ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. გორისციხის 8 წლიანი სკოლის I, II და III მეოთხედის შედეგების განხილვისას პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე სრულიად არაფერია ნათქვამი ცალკეული საგნების სწავლების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე მაშინ, როდესაც I მეოთხედში IV—VIII კლასების 64 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 18 (23%), II მეოთხედში—16 (18%), მესამე მეოთხედში კი 11 (17%). ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეული საგნის სწავლების მდგომარეობა შესწავლილი და განხილულია პედსაბჭოს სხდომაზე მოუმზადებლად, ნაუცბათევად. მაგალითად, ყაზბეგის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილემ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გ. ფიცხელაურმა 15 დეკემბერს მოისმინა ფიზიკის 3 გაკვეთილი და მეორე დღეს პედსაბჭოს სხდომაზე გაიტანა საკითხი ფიზიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ.

მასწავლებელთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისა და სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაყოფიერების გაზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლისათვის დახმა-

რების გაწევას თვით სწავლის პროცესში. ამ ამოცანის განსახორციელებლად ყაზბეგის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ტუჩაშვილი სისტემატურად ესწრება გაკვეთილებს, თვალყურს ადევნებს, თუ როგორ ახერხებს მასწავლებელი პროგრამით გათვალისწინებული დასამუშავებელი მასალის გადაცემას მოსწავლეებისათვის, რა უჭირს, რა სიძნელეებს აწყდება იგი მუშაობის პროცესში და სხვ. იგი მასწავლებელს კონკრეტულად ეუბნება ნაკლზე და, ამასთან ერთად, უჩვენებს ამ ნაკლის გამოსწორების გზებს.

ასევე, მოსმენილი გაკვეთილების დამაკმაყოფილებელი ანალიზი აქვს სიონის საშუალო სკოლის დირექტორს თ. ავსაჯანიშვილს და გორისციხის 8 წლიანი სკოლის დირექტორს ი. ჩქარეულს, თუმცა მათ მიერ მოსმენილ გაკვეთილთა რაოდენობა მცირეა.

ყაზბეგის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გ. ფირცხელაურის, სნოს საშუალო სკოლის დირექტორის შ. გელაშვილის, დირექტორის მოადგილის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში— მ. ხართიშვილის, სიონის საშუალო დირექტორის მოადგილის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში—ვ. თინიკაშვილის, გორისციხის 8 წლიანი სკოლის დირექტორის მოადგილის თ. საბაურის, ახალციხის 8 წლიანი სკოლის დირექტორის რ. ძავკაევას მიერ გაკვეთილებზე დასწრება ფორმალურ ხასიათს ატარებს; არ აძლევენ მასწავლებლებს შესაფერ მითითებებს. ხშირად მასწავლებლებისათვის მიცემული მითითებანი ატარებს შაბლონურ, ფორმალურ ხასიათს, ამასთან, ისინი ზოგადი და სქემატურია.

შესწავლილ სკოლებში სუსტად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა.

სასწავლო-აღმზდელობით მუშაობაში აღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეულია აგრეთვე კვალიფიციური პედაგოგიური კადრების ნაკლებობითაც. 1973 წელს განათლების სამინისტროს მიერ ყაზბეგის რაიონში სამუშაოდ დაინიშნა 12 სპეციალისტი, სამუშაოდ გამოცხადდა 2. ამავე წელს სხვადასხვა მიზეზების გამო სკოლაში მუშაობა შეწყვიტა 19 მასწავლებელმა (10 დეკრეტული შვებულების გამო, 3—ავადმყოფობის გამო, 4 მასწავლებელი გადაყვანილ იქნა რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში სამუშაოდ, 3 გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში). კადრების ნაკლებობამ გამოიწვია აგრეთვე შეთავსებები—რაიონის 131 მასწავლებლიდან 20 მუშაობს შეთავსებით. ამის გამო თითქმის ყველა

სკოლაში ცხრილი მეთოდურად გაუმართავია. მაგალითად, სიონის საშუალო სკოლაში ისტორიის გაკვეთილები ტარდება V კლასში—პარასკევსა და შაბათს, VI კლასში—სამშაბათსა და ოთხშაბათს, VII კლასში—ორშაბათსა და შაბათს. X კლასში ზოგიერთი დღე გადატვირთულია ჰუმანიტარული ციკლის საგნებით, ზოგიერთი კი—ტექნიკური ციკლის საგნებით. მაგალითად, ორშაპათს—1. ისტორია, 2. სამხედრო მომზადება, 3. რუსული ენა, 4. ქართული ლიტერატურა, 5. ფიზიკა, 6. გეომეტრია. სამშაბათს—1. ქიმია, 2. ბიოლოგია, 3. ფიზიკა, 4. ქართული, 5. ალგებრა, 6. ასტრონომია. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც.

შემოწმების შედეგების შესახებ მოხსენდა ყაზბეგის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ვ. ფირანიშვილს.

ლ. მნათობიშვილი (ხელმძღვანელი)
დ. მახარაძე
კ. ჩიღაშვილი
ა. აბაშიძე
გ. ჩუბინიძე
ი. ბერუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 18 ივლისის ბრძანება № 504

### 1973 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების შესახებ

გავეცანი რა მიმდინარე წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ სახელმწიფო პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ 1973 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოგზავნილი უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების საქმეში ფართო მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა წარმომადგენლებმა, დღეისათვის სამუშაოზე განაწილებულია 1500-ზე ახალგაზრდა სპეციალისტი.

ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დროულად გამოცხადებისა და ადგილზე მათი დამაგრების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სასწავლო წლის დაწყებამდე მოაწყონ დამწყებ მასწავლებლებთან ორგანიზებულად შეხვედრა, გააცნონ მათ სკოლისა და მასწავლებლის წინაშე მდგარი ამოცანები და ზემდგომი ორგანოების უახლესი დადგენილებები სკოლისა და მასწავლებლების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დამწყებ მასწავლებელთათვის პედაგოგიურ-მეთოდური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე საჭირო დახმარების გასაწევად ფართოდ გამოიყენონ განათლების განყოფილებებისა და მეთოდური კაბინეტის მუშაკები და დახელოვნებული მასწავლებლები;

გ) უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტების დროული გამგზავრება სამუშაო ადგილებზე;

დ) დამწყები მასწავლებლები უზრუნველყონ ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით, ხოლო სოფლად მოვლინებულნი—უფასო კომუნალური მომსახურეობით (ბინით, გათბობით და განათებით);

ე) დაწყებით კლასებში მასწავლებლებად პირველ რიგში დანიშნონ მათ განკარგულებაში მივლინებული უმაღლესი განათლების მქონე დაწყებითი განათლების ფაკულტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები;

ვ) კატეგორიულად აღკვეთონ ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ მომართვებისა ან შუამდგომლობების ხელზე გაცემა;

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურის მიღების შესახებ დასტური და წერილობითი ანგარიში თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ თანდართული დანართი № 1-ს მიხედვით; ამავე რიცხვისათვის წარმოადგინონ დამწყებ მასწავლებლებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ წერილობითი ინფორმაცია;

ბ) მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე აუცილებლად გადაუგზავნონ უნივერსიტეტისა და ცალკეული ინსტიტუტების რექტორებს სიები (დანართი № 1) თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ. სიებს დაურთონ სამუშაოზე გამოცხადებულ ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ წარდგენილი საგზურის მონახევი—დასტური;

გ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებიდან სამი წლის გასვლამდე არ მიიღონ სამუშაოზე ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც არ ექნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგზური ან უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ცნობა (ფორმა № 3) იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს მიღებული აქვს სამუშაოზე დამოუკიდებლად მოწყობის უფლება;

დ) ახალგაზრდა სპეციალისტი, როგორც წესი, ვალდებულია ადგილზე იმუშაოს არანაკლებ სამი წლისა, მაგრამ თუ იგი არ გამოცხადდა სამუშაოზე, ან მისი განთავისუფლება სხვადასხვა მიზეზების (გათხოვება, დაინვალიდება, დანაშაულის ჩადენა) გამო სამ წელზე ადრე აუცილებელია, სამუშაოდან მათი გათავისუფლების საკითხი განათლების სამინისტროსთან წინასწარ შეთანხმების შემდეგ განიხილონ და გადაწყვიტონ ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ მიღებული გადასაყვანი ხარჯების დაბრუნების შემდეგ.

3, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მოახსენოს პერიოდულად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 5 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე ჯ. ობოლაძე

დანართი № 1

# ს ი ა

**უმაღლესი სასწავლებლის იმ ახალ კურსდამთავრებულებისა, რომელნიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1973 წელს განაწილებულია (დანიშნულია, მივლინებულია) სამუშაოზე რაიონის (ან ქალაქის) სკოლებში**

| ახალგაზრდა სპეციალისტის გვარი, სახელი, მამის სახელი | რომელი სასწავლებელი დაამთავრა | საგზური № | რომელ სკოლაშია დანიშნული | რა თანამდებობაზე და რა საგნის მასწავლებლად დანიშნული | გამოცხადდა თუ არა განათლების განყოფილებაში | გაიგზავნა თუ არა ბრძანებით დანიშნულ სკოლაში | შეუდგა თუ არა სკოლაში მუშაობას | თუ არ შეუდგა მუშაობას, რატომ? | რამდენი გაკვეთილი მიეცა | უზრუნველყოფილია თუ არა ბინით | უზრუნველყოფილია თუ არა გათბობით და განათებით | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

გ. ა. განათლების განყოფილების გამგე (ხელის მოწერა)

**შენიშვნა:** ა) თანმიმდევრობით ჯერ უნივერსიტეტის, შემდეგ ცალკეული ინსტიტუტების, უკლებლივ უნდა შევიდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებით დანიშნული ან მივლინებული ყველა ახალგაზრდა სპეციალისტი.

ბ) დანართი № 1 ყველა უმაღლეს სასწავლებლის რექტორს ეგზავნება ცალ-ცალკე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი


1. ბრძანება № 480—საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შუქზე მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაძლიერების საქმეში რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების ამოცანების შესახებ . . . . . . . . . 3

2. ბრძანება № 419—სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბრიგადის მიერ საქართველოს სსრ სკოლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . 10

3. ბრძანება № 431—რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების გახსნის შესახებ . . . . . . . . . 32

4. ბრძანება № 447—სახალხო განათლების განვითარების გრძელვადიანი პერსპექტიული გეგმის (1976—1990 წ. წ.) პროექტის მომზადების შესახებ 34

6. Приказ № 448 . . . . . . . . . . . . . . . . . . 39

5. ბრძანება № 452—ქ. რუსთავის ქიმიის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 41

7. ბრძანება № 475—წალენჯიხის რაიონის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თაობაზე ანონიმური წერილის შემოწმების შედეგების შესახებ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 50

8. ბრძანება № 478—ყაზბეგის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . 55

9. ბრძანება № 504—1973 წლს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 72